



პოლიტიკური პარტიების  
დაფინანსების კვლევა



საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო  
Transparency International - Georgia



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ანგარიში მომზადდა ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ მხარდაჭერით.

ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

თბილისი 2011

<b>ნაწილი 1. პარტიების ყოველწლიური დაფინანსება.....</b>	<b>7</b>
პარტიების შემოსავლები .....	8
სახელმწიფო დაფინანსება .....	8
საწევრო შენატანები .....	11
ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებები .....	12
სხვა ტიპის შემოსავლები .....	14
პარტიის ხარჯები .....	17
დასკვნა .....	20
<b>ნაწილი 2. საარჩევნო კამპანიის დაფინანსება.....</b>	<b>22</b>
2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები .....	23
საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები .....	23
საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები .....	26
2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები .....	28
საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები .....	29
საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები .....	31
2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები .....	34
საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები .....	34
2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშებზე განხორციელებული შემოწირულებები .....	36
არფულადი შემოწირულებები .....	40
საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები .....	40
შემომწირველ იურიდიულ პირთა მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში .....	43
დასკვნა .....	44
<b>ნაწილი 3. საარჩევნო სიების მონიტორინგი.....</b>	<b>47</b>
მონიტორინგისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის ფინანსური ანგარიშები .....	48
მონიტორინგის გეოგრაფია და მეთოდოლოგია .....	53

მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევები და მათზე ცესკოს რეაგირება .....	54
დასკვნა .....	56

**ნაწილი 4. რეკომენდაციები ..... 58**

შესავალი .....	58
ზედამხედველობის მექანიზმები .....	58
სპეციალური დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო .....	58
ანგარიშგების სისტემა .....	60
საარჩევნო კამპანიის ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება .....	61
პარტიის მიერ გადარიცხული თანხების გამჭვირვალობა .....	62
ანგარიშების გამოქვეყნების პერიოდულობა .....	62
ინფორმაციის უნიფიკაცია .....	63
შემოწირულებები .....	63
კანონმდებლობაში წინააღმდეგობის აღმოფხვრა .....	63
შემოწირულებები ბიზნესიდან .....	64
ხარჯები .....	65
ხარჯების მაქსიმუმის დაწესება .....	65

ეს კვლევა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობასთან და მათ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებს მიმოხილავს. იგი ოთხი თავისგან შედგება. ესენია: 1. პოლიტიკურ პარტიათა ყოველწლიური სახელმწიფო დაფინანსება; 2. საარჩევნო კამპანიების დაფინანსება; 3. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ამომრჩეველთა სიების გადასამოწმებლად პარტიებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება; 4. რეკომენდაციები პარტიათა დაფინანსების კუთხით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. რეკომენდაციების ნაწილი და დასკვნა აქვს ასევე პირველი სამი თავიდან თითოეულს. დეტალური კვლევისთვის შეიქმნა ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც 2010 წლის 30 მაისის არჩევნების შედეგად თბილისში გადალახეს ბარიერი და მოიპოვეს მანდატები, ასევე ბლოკები, რომელთა შემადგენლობაში ეს პარტიები შედიოდნენ 2008-2010 წლის არჩევნებზე.

როგორც კვლევამ ცხადყო, საქართველოში პარტიათა დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს. დღეისთვის არ არსებობს ორგანო, რომელსაც პარტიების დაფინანსების კანონთან შესაბამისობის სრულყოფილი კონტროლი ევალება; არ არის დადგენილი, თუ ვისი კომპეტენციაა პარტიების მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული საფინანსო დეკლარაციების შემოწმება; არ არსებობს პარტიათა ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგების ერთიანი ფორმა; პარტიებს არ აქვთ ანგარიშგებისას პირველადი ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება; არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები პარტიების მიერ ფინანსური ანგარიშგების არასრულად ან ხარვეზებით წარდგენისათვის და სხვ.

წლიურ ანგარიშში ზოგიერთი პარტია ხარჯებს სულ 4-5 კატეგორიად ყოფს. ზოგიერთი პარტია კი ხარჯების დიდ ნაწილს „სხვა ხარჯების“ გრაფაში აერთიანებს. ეს მაჩვენებელი ხშირად მთლიანი ხარჯების 70%-ია, ზოგ შემთხვევაში კი მილიონ ლარსაც აღწარბებს. ასეთი ფაქტების გამო პარტიათა ხარჯების ანალიზი მნიშვნელოვნად რთულდება.

ხშირად გართულებული და თითქმის შეუძლებელია პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წყაროების დადგენაც. პარტიები საარჩევნო კამპანიების ფონდებში თანხებს თავიანთი პარტიული ფონდებიდან რიცხავენ. იმის გამო, რომ პარტიული ფონდების შესახებ ინფორმაცია საჯარო მხოლოდ მომდევნო წლის დასაწყისში ხდება, საარჩევნო პერიოდში კამპანიების ფონდების სრულყოფილი გაკონტროლება შეუძლებელია. მაგალითად, მმართველმა პარტიამ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის ფონდში მთლიანი შემოწირულების 96%, 13,5 მილიონ ლარზე მეტი, საკუთარი ანგარიშიდან გადარიცხა. ამ თანხის წარმომავლობის დადგენა 2011 წლის თებერვლამდე ვერ მოხერხდა.

საქართველოს კანონმდებლობა იურიდიულ პირს ერთი პოლიტიკური გაერთიანების ფონდში შემოწირულებაზე 100 000-ლარიან ზღვარს უწესებს. შემოწირულებაზე ზედა ზღვრის დადგენა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა. ეს იმისთვის კეთდება, რომ რომელიმე ბიზნესკომპანიამ კონკრეტული პარტიის განსაკუთრებით დიდი თანხით დაფინანსებით მასზე და, ზოგადად, ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენა არ მოიპოვოს. 100 000-ლარიანი ზღვრის არსებობის მიუხედავად, საქართველოში არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე იურიდიული პირი, შვილობილი კომპანიების საშუალებით, ერთ პარტიას 100 000 ლარზე მეტს ურიცხავს. მაგალითად, 2010 წელს კომპანიებმა – „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“, „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტმა“, „თეგეტა ლოჯისტიკმა“, „თეგეტა მოტორსმა“ და „თეგეტა მოტორს ქუთაისმა“ – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ჯამში 500 000 ლარი შესწირეს. აღსანიშნავია, რომ მათგან სამის დამფუძნებელი ერთი და იგივე პირი – თემურ კონოძეა. ის დანარჩენი ორი კომპანიის დამფუძნებელთა შორისაც ფიგურირებს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საწარმოს მიერ ერთი წლის განმავლობაში პოლიტიკური პარტიის საარჩევნო კამპანიის და პარტიულ ფონდებში გადარიცხული თანხა 100 000 ლარს აღემატება. მაგალითად, 2008 წელს იურიდიულმა პირმა სს „ტრანსმშენმა“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის – მიხეილ სააკაშვილის – საარჩევნო კამპანიის ფონდს 100 000 ლარი, ხოლო თავად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 75 000 ლარი შესწირა.

საინტერესოა ის ტენდენციაც, რომ მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება მინიმუმ 7-ჯერ (2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები) და მაქსიმუმ 26-ჯერ (2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები) აღემატება ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის დაფინანსებათა ჯამს. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ოპოზიციური პარტიები დაფინანსებას მხოლოდ ფიზიკური პირებისგან იღებენ. ბიზნესკომპანიები კი მხოლოდ მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატების საარჩევნო კამპანიებს აფინანსებენ. ასე მოხდა 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო და ყველა შემდგომ არჩევნებზე.

რაც შეეხება 2010 წელს წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაში პოლიტიკური პარტიების ჩართვას, ეს ინიციატივა დროის სიმცირის, არასაკმარისი დაგეგმვის, სუსტი კოორდინაციისა და სხვა მიზეზების გამო ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა. ამომრჩეველთა სიის სრულყოფისთვის აუცილებელია, რომ ის მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს როგორც პარტიებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რათა მათ ნებისმიერ დროს შეძლონ სიის გადამოწმება და, საჭიროების შემთხვევაში, მასში ცვლილების შეტანის მოთხოვნა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სიის შედგენისთვის პასუხისმგებელ სახელისუფლებო უწყებებს შორის უკეთესი კოორდინაცია იყოს.

*კვლევა ძირითადად 2010 წლის ნოემბრის ჩათვლით მოძიებულ ინფორმაციას ეყრდნობა, თუმცა პოლიტიკური პარტიების 2010 წლის სახელმწიფო დაფინანსების ანგარიშები მხოლოდ 2011 წლის თებერვალში გახდა ხელმისაწვდომი და გარკვეული ინფორმაცია ამის შემდეგ დაემატა კვლევას.*

## პარტიების ყოველწლიური დაფინანსება (2007-2009 წლების მონაცემებზე დაყრდნობით)

პარტიათა შემოსავლები რეგულირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. კერძოდ, პარტიის ქონებას ქმნის:

- ა) კანონით დადგენილ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;
- ბ) საწევრო შენატანები;
- გ) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებები;
- დ) პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები, რომლებიც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის, ხასიათს;
- ე) საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები.<sup>1</sup>

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოში თოთხმეტი პოლიტიკური პარტია იღებდა ყოველწლიურ სახელმწიფო დაფინანსებას.<sup>2</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეისწავლა იმ პოლიტიკური პარტიების წლიური შემოსავლები 2007-2009 წლებში და დეტალური ხარჯთაღრიცხვა, რომელთაც 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს მანდატები თბილისში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკში გაერთიანების გზით, რათა გამოველინა:

1. რა ოდენობის თანხების მოზიდვა შეძლეს პარტიებმა არჩევნების დროს და არჩევნებს შორის პერიოდში;
2. რა წარმომავლობის იყო ეს თანხები;
3. როგორ დაიხარჯა აღნიშნული თანხები;
4. რამდენად კანონიერი იყო ამ თანხების მოზიდვა და ხარჯვა.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მანდატები მოიპოვეს შემდეგმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა:

1. ახალი მემარჯვენეები (ბლოკი „ალიანსი საქართველოსათვის“);
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის;

<sup>1</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (1997 წლის 31 ოქტომბერი, №1028-ს; გამოქვეყნებულია: პარლამენტის უწყებანი, №45, 21.11.1997, გვ. 76) 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>2</sup> ეს ანალიზი ეყრდნობა 2010 წლის 1 იანვრამდე არსებულ მონაცემს, რადგან 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით დაფინანსებული პარტიები ფინანსურ ანგარიშებს 2011 წლის თებერვალში წარადგენენ. 2010 წლის დაფინანსების შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქვე, ქვეთავში „2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშებზე განხორციელებული შემოწირულებები“ და დანართის №№2-15 დიაგრამებში.

3. საქართველოს კონსერვატიული პარტია (ბლოკი „ეროვნული საბჭო“);
4. ჩვენ თვითონ (ბლოკი „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობა“);
5. გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები (ბლოკი „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“);
6. ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია (ბლოკი „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“);
7. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს;
8. საქართველოს რესპუბლიკური პარტია (ბლოკი „ალიანსი საქართველოსათვის“);
9. საქართველოს გზა (ბლოკი „ალიანსი საქართველოსათვის“);
10. ხალხის პარტია (ბლოკი „ეროვნული საბჭო“).

### პარტიების შემოსავლები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით პარტიებს ხუთი სხვადასხვა წყაროდან შეუძლიათ დაფინანსების მიღება, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რეალურად ისინი მხოლოდ სამი ტიპის დაფინანსებით – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით, საწევრო შენატანებით და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობებით – სარგებლობენ.

### სახელმწიფო დაფინანსება

როგორც აღინიშნა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პარტიის ქონების ნაწილია სახელმწიფოსგან მიღებული დაფინანსება. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით.<sup>3</sup> ამ თანხით პარტიების დაფინანსება ხორციელდება ორი გზით: 1) თანხის პირდაპირ პარტიებისთვის გადაცემით<sup>4</sup> და 2) თანხის საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისთვის“ (შემდგომ – „ფონდი“) გადარიცხვით, რის შემდეგაც ის პარტიებზე ნაწილდება.<sup>5</sup> ფონდის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.<sup>6</sup>

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს ის პარტია, რომელმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 4%-იანი ბარიერი ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 3%-იანი ბარიერი.<sup>7</sup> პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გაიანგარიშება ფორმულით, რომლის თანახმადაც, საბაზო დაფინანსებას (ერთი და იმავე ოდენობის თანხა, რომელსაც იღებს ნებისმიერი პარტია, რომელიც გადალახავს შესაბამის ბარიერს) ემატება დამატებითი დაფინანსება პარლამენტში მოპოვებული მანდატებისა და არჩევნებში მიღებული ხმების შესაბამისად.<sup>8</sup>

საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში არის 150 000 ლარი.<sup>9</sup> თუ საარჩევნო სუბიექტი (პარტია/საარჩევნო ბლოკი) უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახავს 8%-იან ბარიერს ან უკანასკნელ ადგილობრივი

<sup>3</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი.  
<sup>4</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებს გადაეცემათ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ფორმულით (დეტალურად იხ. მე-8 სქოლიო) გამოანგარიშებული თანხა.  
<sup>5</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი.  
<sup>6</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის 1-ლი პუნქტი.  
<sup>7</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.  
<sup>8</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ეს ფორმულაა:  $Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1)$ , სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევალზე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების ოდენობა.  
<sup>9</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 6%-იან ბარიერს, საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში იქნება 300 000 ლარი.<sup>10</sup>

ვინაიდან საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმები მასში შემავალ პარტიებზე თანაბრად ნაწილდება, ასევე თანაბრად ნაწილდება საბაზო დაფინანსება.

2007-2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება სულ თოთხმეტმა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო. დეტალური ინფორმაციისთვის აქვე იხილეთ ცხრილი №1.<sup>11</sup>

**ცხრილი №1. პარტიების მიერ სახელმწიფოსგან 2007–2009 წლებში მიღებული დაფინანსება**

№	საარჩევნო სუბიექტი <sup>12</sup>	მიღებული დაფინანსება ლარებში (2007)	მიღებული დაფინანსება ლარებში (2008)	მიღებული დაფინანსება ლარებში (2009)
1	ახალი მემარჯვენეები	171 633.00	170 674.56	79 407.48
2	თავისუფლება	160 890.00	145 082.91	80 607.48
3	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	209 519.00	352 524.25	391 338.00
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის	1 592 521.00	1 853 685.24	1 827 185.52
5	საქართველოს კონსერვატიული პარტია	117 492.00	284 748.54	248 748.00
6	ქართული დასი	–	84 201.72	86 607.48
7	ჩვენ თვითონ	–	91 161.72	93 807.48
8	გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები	–	573 651.00	573 651.00
9	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	171 074.00	290 347.56	239 947.56
10	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	117 492.00	284 748.42	248 748.00
11	ეროვნული ფორუმი	–	14 434.58	79 407.48
12	მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის	–	14 434.58	79 407.48
13	საქართველოს გზა	–	–	93 842.06
14	ხალხის პარტია	–	16 834.58	79 407.48
<b>სულ</b>		<b>2 540 621.00</b>	<b>4 176 529.66</b>	<b>4 202 112.50</b>

\* წყარო: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან მიღებული (შემდგომში – ცესკო) ინფორმაცია

<sup>10</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

<sup>11</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამა №1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიათა პირდაპირი დაფინანსების განაწილება, 2009 წელი.

<sup>12</sup> ყვითელი შეფერილობის ფანჯარაში აღნიშნულია ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა და მოიპოვეს მანდატები შესაბამის ორგანოებში დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკში გაერთიანების გზით.

პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე რომელიმე ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტის დასკვნასთან ერთად.<sup>13</sup> ფინანსური აუდიტის განხორციელების მიზნით პარტია უფლებამოსილია მიმართოს საქართველოში მოქმედ ნებისმიერ დამოუკიდებელ აუდიტორს.<sup>14</sup>

საფინანსო დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი (შემოსავლის წყარო და სხვ.) და ხარჯი (კონკრეტული კლასიფიკაციით – არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებაზე, მივლინებაზე გაწეული და სხვა ხარჯები), ასევე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობები, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მათი ღირებულება, საბანკო დაწესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა და სხვ.).<sup>15</sup>

პარტია საფინანსო დეკლარაციის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და, თავისი იურიდიული მისამართის შესაბამისად, ადგილობრივ საგადასახადო ორგანოს წარუდგენს გამოქვეყნებული დეკლარაციისა და აუდიტის დასკვნის ასლებს.<sup>16</sup> თუ პარტია დროულად არ გამოაქვეყნებს საფინანსო დეკლარაციას, იგი კარგავს პირდაპირი სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.<sup>17</sup>

როგორც აღინიშნა, საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადაირიცხება თანხა ფონდში.<sup>18</sup> ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასარიცხი თანხა პარტიებზე პირდაპირ გასანაწილებელი თანხის ნახევარია.<sup>19</sup>

ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% პარტიებზე ნაწილდება, ხოლო 50% არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაა განკუთვნილი.<sup>20</sup> ფონდიდან პარტიებისთვის გამოყოფილი თანხა ნაწილდება მათ მიერ მისაღები საბაზო დაფინანსების პროპორციულად.<sup>21</sup> საპარლამენტო არჩევნებში 4%-დან 8%-მდე და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 3%-დან 6%-მდე ხმების მოპოვების შემთხვევაში პარტიები თანაბარ დაფინანსებას იღებენ. საპარლამენტო არჩევნებში 8%-ზე მეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 6%-ზე მეტი ხმების მიღების შემთხვევაში დაფინანსების თანხა უფრო მეტია, თუმცა ისიც ფიქსირებულია და მიღებული ხმების პროპორციულად არ იცვლება.

ფონდიდან თანხა მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებებისა და რეგიონული პროექტების დაფინანსების მიზნით გაიცემა.<sup>22</sup> *აქვე იხილეთ ცხრილი N#2.*

<sup>13</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>14</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>15</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>16</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>17</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლი.

<sup>18</sup> პარტიების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად 2008 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს ორგანულ კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შეიქმნა „რეფორმებისა და განვითარების ფონდი“. 2009 წლის 28 დეკემბერს ამავე კანონში შეტანილი ცვლილებით შეიქმნა „რეფორმებისა და განვითარების ფონდის“ სამართალმემკვიდრე – საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი“. შესაბამისად, პარტიები დამატებით დაფინანსებას 2009 წლიდან იღებენ.

<sup>19</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტი.

<sup>20</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-7 პუნქტი.

<sup>21</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტი.

<sup>22</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-9 პუნქტი.

**ცხრილი №2. ფონდის მიერ 2009 წელს დაფინანსებული პარტიები<sup>23</sup>**

№	საარჩევნო სუბიექტი	მიღებული დაფინანსება ლარებში
1	ახალი მემარჯვენეები	23 786.80
2	თავისუფლება	23 786.80
3	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლიებორისტული პარტია	107 040.64
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის	214 081.28
5	საქართველოს კონსერვატიული პარტია	107 040.64
6	ქართული დასი	23 786.80
7	ჩვენ თვითონ	23 786.80
8	გიორგი თარგამაძე – ქრისტიან-დემოკრატები	214 081.28
9	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	107 040.64
10	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	107 040.64
11	ეროვნული ფორუმი	23 786.80
12	მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის	23 786.80
13	საქართველოს გზა	23 786.80
14	ხალხის პარტია	23 786.80
<b>სულ</b>		<b>1 046 619.52</b>

\* წყარო: ფონდისაგან მიღებული ინფორმაცია

პარტიამ ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ფონდს ანგარიში მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების შესახებ. თუ პარტია ანგარიშს არ წარადგენს კანონით დადგენილი წესით ან თანხას არ გამოიყენებს კანონით დადგენილი მიზნებისათვის, მას შეუწყდება ფონდიდან მისაღები დაფინანსება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.<sup>24</sup>

**საწევრო შენატანები**

ზემოთ აღინიშნა, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პარტიის ქონების ნაწილია საწევრო შენატანები. ფინანსურ ანგარიშებში ისინი მხოლოდ რამდენიმე პარტიას – „ახალ მემარჯვენეებს“, საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას და „საქართველოს გზას“ – აქვს მითითებული. ამ გზით მიღებული თანხა უმეტეს შემთხვევაში პარტიის წლიური შემოსავლის მცირე ნაწილს – 5-10%-ს – შეადგენს. გამონაკლისია „ახალი მემარჯვენეების“ 2008 და 2009 წლების შემოსავლები, როცა საწევრო შენატანებმა პარტიის მთლიანი დაფინანსების შესაბამისად 46% და 60% შეადგინა. აქვე იხილეთ ცხრილი №3.<sup>25</sup>

**ცხრილი №3. პარტიების მიერ 2007–2009 წლებში მიღებული საწევრო შენატანები**

პოლიტიკური გაერთიანება	საწევრო შენატანები ლარებში (2007)	საწევრო შენატანები ლარებში (2008)	საწევრო შენატანები ლარებში (2009)
ახალი მემარჯვენეები	10 411.00	79 312.58	155 120.00
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	10 383.00	4 324.00	1 210.00
საქართველოს გზა	არ არსებობდა	1 112.00	1 221.70

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

<sup>23</sup> 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში „გაერთიანებული ოპოზიციის“ სახელით მონაწილეობდა 9 პოლიტიკური გაერთიანება, რომელთაც ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსება (214 081.28 ლარი) თანაბრად გაუნაწილდათ. შემდგომ ერთ-ერთი – საქართველოს რესპუბლიკური პარტია – გავიდა კოალიციიდან და დამოუკიდებლად მიიღო დაფინანსება.

<sup>24</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30<sup>1</sup> მუხლის მე-11 პუნქტი.

<sup>25</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ აქვე დიაგრამა №3: პარტიების შემოსავლები საწევრო შენატანების სახით 2007-2009 წწ.

**ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებები**

ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოწირულებების მიღება პარტიებს კანონით გათვალისწინებული წესით და შეზღუდვებით შეუძლიათ. კერძოდ, პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მოცულობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) თითოეული ფიზიკური პირისაგან – 30 000 ლარს;
- ბ) თითოეული იურიდიული პირისაგან – 100 000 ლარს.<sup>26</sup>

აკრძალულია ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მიღება:

- ა) სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან, ლექციების, სემინარებისა და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;
- ბ) სახელმწიფო ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო ორგანიზაციისა და იმ საწარმო-საგან, რომელშიც სახელმწიფო წილი აღემატება 10%-ს, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა;
- გ) არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან, ლექციების, სემინარებისა და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;
- დ) მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;
- ე) ანონიმური ფორმით.<sup>27</sup>

შემოწირულების შემტანი იურიდიული პირი ვალდებულია, მიუთითოს საკუთარი სახელწოდება და იურიდიული მისამართი, ხოლო ფიზიკურმა პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) და პირადი ნომრები.<sup>28</sup> ამ მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური შემოწირულებები პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.<sup>29</sup>

2007–2009 წლებში პარტიების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებულ შემოწირულებებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციისთვის აქვე იხილეთ ცხრილები №4-7.

**ცხრილი №4.<sup>30</sup> პარტიების მიერ 2007–2009 წლებში მიღებული შემოწირულებები**

პოლიტიკური გაერთიანება	საწევრო შენატანები ლარებში (2007)	საწევრო შენატანები ლარებში (2008)	საწევრო შენატანები ლარებში (2009)
ახალი მემარჯვენეები	–	–	–
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	9 155 269.00	12 479 332.00	–
საქართველოს კონსერვატიული პარტია	–	1 663.00	17 345.00
ჩვენ თვითონ	–	–	–
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	–	58 821.00	38 778.00
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	–	–	–
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	85 727.00	650.00	–
საქართველოს გზა	–	11 450.00	–
ხალხის პარტია	–	14 760.00	–

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

<sup>26</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>27</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტი. ანონიმური შემოწირულების განხორციელების აკრძალვა ძალაშია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან.

<sup>28</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>29</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>30</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ აქვე დიაგრამა №4: პარტიების შემოსავლები შემოწირულებების სახით 2007-2009წწ.

2007 წელს შემოწირულებები შემოსავლის მთავარი წყარო იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რომელსაც ამ გზით 9 მილიონ ლარზე მეტი აქვს მიღებული. იმავე წელს კიდევ ერთმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ – მიიღო შემოწირულებები დაახლოებით 8 ათასი ლარის ოდენობით, რაც 106.7-ჯერ ნაკლებია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოსავალზე. თითქმის ასეთივე სურათია 2008 წელს. 2009 (არასაარჩევნო) წელს მმართველ პარტიას შემოწირულება საერთოდ არ მიუღია, საქართველოს კონსერვატიული პარტიისა და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ მიღებული შემოწირულებები კი საკმაოდ მცირეა.

2007-2009 წლებში იურიდიულ პირთა მიერ განხორციელებული შემოწირულებების უმრავლესობა ფულადი იყო<sup>31</sup>, ფიზიკური პირები კი უფრო ხშირად არაფულად შემოწირულებებს ახორციელებდნენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეეცადა გაერკვია ამ შემოწირულებების წარმომავლობა, კერძოდ, უკავშირდებოდა თუ არა მათი განხორციელება პარტიის წევრობას, და სთხოვა შესაბამის პარტიებს, მიეთითებინათ, შემომწირველთაგან რამდენი იყო პარტიის წევრი.<sup>32</sup> აქვე იხილეთ ცხრილები №5-7.

### ცხრილი №5. პარტიების მიერ 2007 წელს მიღებული შემოწირულებები<sup>33</sup>

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირების რაოდენობა	ფიზიკური პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	მ. შ., პარტიის წევრების რაოდენობა	მ. შ., პარტიის წევრებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	იურიდიული პირების რაოდენობა	იურიდიული პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	23	279 597.00	ორგანიზაციას არ მიაწოდა ინფორმაცია		240	8 875 802.00
საქართველოს რესპუბლიკური <sup>34</sup> პარტია	40	85 727.00	6	36 100.00	0	–

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

### ცხრილი №6. პარტიების მიერ 2008 წელს მიღებული შემოწირულებები

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირების რაოდენობა	ფიზიკური პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	მ. შ., პარტიის წევრების რაოდენობა	მ. შ., პარტიის წევრებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	იურიდიული პირების რაოდენობა	იურიდიული პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	52	693 000.00	ორგანიზაციას არ მიაწოდა ინფორმაცია		454	11 606 322.00
საქართველოს კონსერვატიული პარტია	– <sup>35</sup>	1 663.00	–	1 663.00	0	–

<sup>31</sup> 2007 წელს 240 იურიდიული პირისგან მხოლოდ ორმა განახორციელა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე არაფულადი შემოწირულება 163 997 ლარის ოდენობით. 2008 და 2009 წლებში ასეთი შემოწირულება იურიდიულ პირთაგან საერთოდ არ ყოფილა.

<sup>32</sup> მიუხედავად იმისა, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პოლიტიკურ გაერთიანებებს განუმარტა ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მის გაცემაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ინფორმაციის მიწოდება არ იყო სავალდებულო საარჩევნო კანონმდებლობით. სხვა პარტიებმა ორგანიზაციას სრულყოფილად მიაწოდეს ინფორმაცია პარტიული კუთვნილების შესახებ.

<sup>33</sup> მონაცემები პირდაპირ ამოღებულია ცესკოდან მიღებული ანგარიშიდან, თუმცა ჯამური თანხა ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა ანგარიშში პარტიების მიერ მითითებულ ჯამურ თანხას, ძირითადად გარკვეული ტექნიკური ხარვეზების გამო. ჩვენ აქ მოვიყვანეთ ანგარიშში მოცემული თანხები, ჯამური თანხის მითითებისაგან კი თავი შევკავეთ.

<sup>34</sup> ფულადი შემოწირულება: 1 (6 700 ლარი); არაფულადი შემოწირულება: 38 (სულ 72 327 ლარი). ასევე იყო 1 ანონიმური შემოწირულება 10 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული შემოწირულება პარტიის ანგარიშზე 2007 წლის 1 ოქტომბრამდე განხორციელდა, როდესაც ჯერ კიდევ ნებადართული იყო ანონიმური შემოწირულების მიღება.

<sup>35</sup> აღნიშნული მონაცემი არ იყო ასახული კონსერვატიული პარტიის ანგარიშში, ამიტომ ზუსტი ინფორმაცია შემომწირველების შესახებ არ მოგვეპოვება. პარტიის წარმომადგენლების განმარტებით, ეს თანხა თხუთმეტი პირის შემოწირულია.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა <sup>36</sup>	5	58 821.00	3	50 000.00	0	–
საქართველოს რესპუბლიკური პარტია	1	650.00	0	–	0	–
საქართველოს გზა	6	11 450.00	3	6 000.00	0	–
ხალხის პარტია	7	14 760.00	7	14 760.00	0	–

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

### ცხრილი №7. პარტიების მიერ 2009 წელს მიღებული შემოწირულებები

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირების რაოდენობა	ფიზიკური პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	მ. შ., პარტიის წევრების რაოდენობა	მ. შ., პარტიის წევრებისგან მიღებული თანხა (ლარებში)	იურიდიული პირების რაოდენობა	იურიდიული პირებისგან მიღებული თანხა (ლარებში)
საქართველოს კონსერვატიული პარტია	– <sup>37</sup>	17 345.00	–	17 345.00	0	–
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	9	38 778.00	2	5 400.00		–

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

2007 წელს შემოწირულებები ორივე პარტიის შემთხვევაში ნოემბერ-დეკემბერში – 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში – განხორციელდა, 2008 (საარჩევნო) წელს რამდენიმე შემოწირულებაა განხორციელებული, 2009 (არასაარჩევნო) წელს კი შემოწირულებები მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მიიღო. 2007 და 2008 წლებში შემოწირულებები თითქმის მთლიანად პარტიების ან სათანადო ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდებში გადაირიცხა (როგორც პარტიის მიერ განხორციელებული შემოწირულებები) და შესაბამის საარჩევნო კამპანიებს მოხმარდა. 2009 წლის შემოსავლებით კი პარტიებმა ზოგადი ტიპის ხარჯები გასწიეს (შრომითი ანაზღაურებები, წარმომადგენლობითი ხარჯები და ა.შ.).

2007-2009 წლებში იურიდიული პირებისგან შემოწირულებები ერთმა პარტიამ – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – მიიღო. სხვა პარტიების შემთხვევაში შემომწირველები მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ.

#### სხვა ტიპის შემოსავლები

როგორც აღინიშნა, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, პარტიის ქონებას შეადგენს პარტიის სიმბოლოების დამზადებითა და გავრცელებით, პარტიის მიერ ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები, რომლებიც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო

<sup>36</sup> „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ პარტიისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის შემოწირულებები გაერთიანებული ჰქონდათ. კერძოდ, შემომწირველებში მათ მითითებული ჰქონდათ ის პირებიც, ვინც საარჩევნო კამპანიის ფონდში განხორციელა შემოწირულება. ჩვენ გამოყვავით საარჩევნო კამპანიის დაფინანსებლები და მხოლოდ პარტიის ანგარიშზე გამოყოფილი შემოწირულებები მოვიყვანეთ აქ. მეტი თვალსაჩინოებისათვის იხ. დანართის დიკრამა №6. ქრისტიან დემოკრატიული პარტიის შემოსავლები 2007-2009წწ. და იხილეთ ვებ-გვერდზე: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (წლიური დაფინანსება 2008წ. – ფიზიკური პირების შემოწირულებები)“.


<sup>37</sup> აღნიშნული მონაცემი არ იყო ასახული კონსერვატიული პარტიის ანგარიშში, ამიტომ ზუსტი ინფორმაცია შემომწირველების შესახებ არ მოგვეპოვება. პარტიის წარმომადგენლების განმარტებით, ეს თანხა ოთხი პირის შემოწირულია.

იურიდიული პირის, ხასიათს. ასევე დასაშვებია საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულებები. ასეთ შემოწირულებებზე არ ვრცელდება კანონის მოთხოვნები ფიზიკური თუ იურიდიული პირის შესახებ მონაცემების მითითების თაობაზე, თუმცა მათი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს წელიწადში<sup>38</sup>.

ფინანსური ანგარიშებიდან ჩანს, რომ აღნიშნული გზებით შემოსავალი არც ერთ პარტიას არ მიუღია. მათი განმარტებით, ამას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: (1) ერთი მხრივ, ასეთი საქმიანობა უფრო მეტ ხარჯს იწვევს, ვიდრე შემოსავალს; (2) მეორე მხრივ, ის რისკს შეიცავს, რადგან შესაძლებელია გარკვეული პროვოკაციის არსებობა.<sup>39</sup> პარტიების განცხადებით, შეიძლება საჯარო ღონისძიებებზე მათ ვერ მოახერხონ შემოწირულების ზედა ზღვრის კონტროლი და კანონი დაარღვიონ. კანონით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში კი პასუხისმგებლობა საკმაოდ მძიმეა.<sup>40</sup>

თვალსაჩინოებისთვის აქვე (№1-4 დიაგრამებზე) იხილეთ შემოსავლების ძირითადი ტიპები კატეგორიების მიხედვით.<sup>41</sup>


**დიაგრამა №1: პარტიების შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2007-2009 წწ<sup>42</sup>.**



\* დეტალური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი №1. პარტიების მიერ სახელმწიფოსგან 2007–2009 წწ. მიღებული დაფინანსება


<sup>38</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი.  
<sup>39</sup> ავტორის ინტერვიუები საქართველოს კონსერვატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლებთან.  
<sup>40</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის თანახმად, კანონის დარღვევით მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებები პარტიამ ერთი თვის ვადაში უნდა გადასცეს სახელმწიფო ხაზინას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს შემოწირულებები იძულებით გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამასთანავე, თუ ამ შემოწირულებების საერთო ღირებულება წელიწადში: ა) 2 000-დან 15 000 ლარამდეა, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 1 წლის განმავლობაში; ბ) 15 000-დან 50 000-მდეა, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 2 წლის განმავლობაში; გ) 50 000 ლარზე მეტია, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 4 წლის განმავლობაში. იმ პარტიების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო დაფინანსების უფლება, ეს სანქციები ამოქმედდება ამ უფლების მიღების შემდეგ.  
<sup>41</sup> პარტიათა შემოსავლების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის დიაგრამები №№2–10. სხვადასხვა პარტიის შემოსავლები.  
<sup>42</sup> დიაგრამებზე მოცემული აბრევიატურები: „ენმ“ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქდმ“ – „ქრტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „მგს“ – „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

დიაგრამა №2: პარტიების შემოსავლები განვითარებისა და რეფორმების ფონდიდან 2009 წ.




\* დეტალური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი №2. ფონდის მიერ 2009 წელს დაფინანსებული პარტიები

დიაგრამა №3: პარტიების შემოსავლები საწევრო შენატანების სახით 2007-2009 წწ.



\* დეტალური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი №3. პარტიების მიერ 2007–2009 წლებში მიღებული საწევრო შენატანები.

დიაგრამა №4: პარტიების შემოსავლები შემოწირულებების სახით 2007-2009 წწ.



\* დეტალური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი №4. პარტიების მიერ 2007–2009 წწ. მიღებული შემოწირულებები.

### პარტიების ხარჯები

პარტიათა ხარჯების ანალიზი უფრო რთულია, რადგან ხარჯთაღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშის წარდგენის ერთგვაროვანი ფორმა არ არსებობს და პარტიები ხარჯების ერთმანეთისაგან განსხვავებულ კატეგორიებს გამოყოფენ.

პარტიათა წარმომადგენლების თქმით<sup>43</sup>, ისინი ძირითადად ბუღალტრული აღრიცხვის გავრცელებულ ფორმებს იყენებენ. ამის მიუხედავად, ზოგიერთი პარტიის ხარჯთაღრიცხვა დეტალურია, ზოგიერთისა კი – უფრო ზოგადი. უმეტეს შემთხვევაში, ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად არის დაყოფილი:

1. შრომის ანაზღაურება;
2. მივლინებები;
3. ოფისის ხარჯები (მ. შ., ქირა/იჯარა);
4. გადასახადები ბიუჯეტში;
5. საარჩევნო კამპანიის ხარჯები;
6. მომსახურების ხარჯები.

ზოგიერთი პარტია დამატებით გამოყოფს სხვა ტიპის ხარჯებს: კომუნალური გადასახადები, აქტივების შექმნის ხარჯები; საკომუნიკაციო ხარჯები; საკანცელარიო ხარჯები; სატრანსპორტო ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები და სხვ.

ყველაზე დეტალურ ხარჯთაღრიცხვას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ აკეთებენ. „ახალი მემარჯვენეები“, საქართველოს კონსერვატიული პარტია და „საქართველოს გზა“ სულ 4-5 ტიპის ხარჯს გამოყოფენ და დანარჩენს „სხვა ხარჯებში“ ათავსებენ. კანონის თანახმად ფონდისგან მიღებულ მიზნობრივ დაფინანსებას, რომელიც კონფერენციებისთვის, ტრენინგებისთვის, საარჩევნო კვლევებისა და მივლინებებისთვის არის განკუთვნილი, პარტიები ძირითადად მივლინებებისთვის ხარჯავენ, რადგან, მათი განცხადებით, კვლევების განსახორციელებლად ეს თანხა ძალიან მცირეა.

<sup>43</sup> ავტორის ინტერვიუ „საქართველოს გზის“, საქართველოს რესპუბლიკური და კონსერვატიული პარტიების წარმომადგენლებთან.

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის თქმით, 2010 წელს ბლოკში „ალიანსი საქართველოსათვის“ შემავალმა პარტიებმა ფონდისგან მიღებული თანხები გააერთიანეს და კვლევები ბლოკის მეშვეობით ჩაატარეს<sup>44</sup>.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეეცადა პარტიების ხარჯთაღრიცხვა ხარჯების ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით ერთიან ფორმატში მოექცია. თვალსაჩინოებისთვის აქვე იხილეთ ცხრილები №№8-10.<sup>45</sup>

**ცხრილი №8. პარტიების ხარჯები 2007–2009 წლებში (ნაწილი 1)**

პოლიტიკური გაერთიანება	შრომის ანაზღაურება (2007)	შრომის ანაზღაურება (2008)	შრომის ანაზღაურება (2009)	მივლინებები (2007)	მივლინებები (2008)	მივლინებები (2009)
<b>ახალი მემარჯვენეები</b>	10 200.00	9 900.00	5 560.00	0.00	0.00	0.00
<b>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</b>	34 400.00	300 352.00	469 300.00	0.00	3 950.00	0.00
<b>საქართველოს კონსერვატიული პარტია</b>	4 750.00	27 287.50	60 669.00	55 260.00	119 760.00	215 192.00
<b>ჩვენ თვითონ</b>	არ არსებობდა	28 232.25	48 966.84	არ არსებობდა	9 603.00	1 511.00
<b>ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა</b>	არ არსებობდა	84 400.00	578 266.00	არ არსებობდა	2 181.00	0.00
<b>მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს</b>	6 883.20	46 583.75	60 350.00	30 049.13	46 384.23	43 525.70
<b>საქართველოს რესპუბლიკური პარტია</b>	45 741.00	49 535.00	57 812.00	495.00	0.00	0.00
<b>საქართველოს გზა</b>	არ არსებობდა	0.00	14 660.00	არ არსებობდა	0.00	18 496.65
<b>ხალხის პარტია</b>	არ არსებობდა	5 493.00	6 840.00	არ არსებობდა	0.00	0.00

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

<sup>44</sup> ავტორის ინტერვიუ „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ფინანსურ მენეჯერთან, გიგლა აგულაშვილთან.

<sup>45</sup> დამატებითი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამები №№11-15 პარტიების მიერ გაწეული სხვადასხვა ხარჯი.

ცხრილი №9. პარტიების ხარჯები 2007-2009 წლებში (ნაწილი 2)

პოლიტიკური გაერთიანება	ოფისის ხარჯები <sup>46</sup> (2007)	ოფისის ხარჯები (2008)	ოფისის ხარჯები (2009)	გადასახადები ბიუჯეტში (2007)	გადასახადები ბიუჯეტში (2008)	გადასახადები ბიუჯეტში (2009)
<b>ახალი</b>						
მემარჯვენეები	171 647.00	255 040.47	239 897.98	2 040.00	0.00	0.00
<b>ერთიანი</b>						
ნაციონალური მოძრაობა	385 381.00	403 294.00	1 053 379.00	6 880.00	538 769.00	270 464.00
<b>საქართველოს</b>						
კონსერვატიული პარტია	14 192.35	26 476.50	41 970.00	3 341.08	7 108.00	13 920.75
<b>ჩვენ</b>	არ			არ		
თვითონ	არსებობდა	12 201.73	60 542.25	არსებობდა	0.00	0.00
<b>ქრისტიან-დემოკრატიული</b>	არ			არ		
მოძრაობა	არსებობდა	358 480.00	76 649.20	არსებობდა	0.00	0.00
<b>მრეწველობა</b>						
გადაარჩენს საქართველოს	114 990.02	86 786.67	79 795.56	2 514.00	12 011.41	7 682.50
<b>საქართველოს</b>						
რესპუბლიკური პარტია	86 595.00	165 495.00	241 272.00	3 590.00	17 058.00	21 419.00
<b>საქართველოს</b>	არ			არ		
გზა	არსებობდა	8 836.74	21 754.00	არსებობდა	0.00	3 590.00
<b>ხალხის</b>	არ			არ		
პარტია	არსებობდა	20 782.50	28 170.00	არსებობდა	1 373.25	0.00

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

ცხრილი №10. პარტიების ხარჯები 2007-2009 წლებში (ნაწილი 3)

პოლიტიკური გაერთიანება	მომსახურების ხარჯები <sup>47</sup> (2007)	მომსახურების ხარჯები (2008)	მომსახურების ხარჯები (2009)	საარჩევნო კამპანიის ხარჯები (2007)	საარჩევნო კამპანიის ხარჯები (2008)	სხვა ხარჯები <sup>48</sup> (2007)	სხვა ხარჯები (2008)	სხვა ხარჯები (2009)
<b>ახალი</b>								
მემარჯვენეები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	23 786.80
<b>ერთიანი</b>								
ნაციონალური მოძრაობა	534 196.00	2 996 845.00	914 856.00	32 186 257.00	21 318 865.00	443 077.00	856 137.00	36 440.00
<b>საქართველოს</b>								
კონსერვატიული პარტია	0.00	0.00	356.72	0.00	0.00	28 695.08	124 409.16	39 839.22

<sup>46</sup> ოფისის ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს: ოფისის ქირის/იჯარის, საკანცელარიო ნივთების შეძენის, სარემონტო სამუშაოების, ტრანსპორტის, კომუნიკაციის და სხვ.

<sup>47</sup> მომსახურების ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს: საადვოკატო მომსახურების, აუდიტორული მომსახურების, არასაარჩევნო სარეკლამო მომსახურების, საბანკო მომსახურების.

<sup>48</sup> „სხვა ხარჯები“ მოიცავს პოლიტიკური გაერთიანებების მიერ მითითებულ „სხვა ხარჯებს“, ასევე: ფონდის მიზნობრივ ხარჯებს (ცალკე გამოყოფილი ჰქონდათ „ახალ მემარჯვენეს“, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, ხალხის პარტიას, საქართველოს კონსერვატიულ და რესპუბლიკურ პარტიებს), დახმარებების, სახელშეკრულებო ვალდებულებების და სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს.

ჩვენ თვითონ	არ არსებობდა	0.00	0.00	არ არსებობდა	0.00	არ არსებობდა	4 026.40	240.14
ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობა	არ არსებობდა	0.00	0.00	არ არსებობდა	693 717.00	არ არსებობდა	63 869.00	181 995.95
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს		3 661.97	31 116.45	2 563.09	13 614.73	35 500.00	8 950.00	25 538.92
საქართველოს რესპუბლიკური პარტია		11 783.00	6 148.00	10 045.00	11 093.00	10 000.00	5 221.00	3 440.00
საქართველოს გზა	არ არსებობდა	3 105.00	0.00	არ არსებობდა	0.00	არ არსებობდა	267.50	48 975.28
ხალხის პარტია	არ არსებობდა	0.00	0.00	არ არსებობდა	0.00	არ არსებობდა	4 135.39	47 722.08

\* წყარო: ცესკოს მიერ მოწოდებული პარტიების ფინანსური ანგარიშები

## დასკვნა

პარტიების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, კერძოდ:

- არ არსებობს ხარჯთაღრიცხვის ერთიანი ფორმა, რაც ანგარიშების არაერთგვაროვნებას იწვევს და ანალიზს ართულებს. ზოგიერთი პარტია ძირითად ხარჯებს სულ 4-5 კატეგორიაში აერთიანებს, ზოგიერთის ანგარიშში კი შედარებით დეტალურია – მასში 10-15 ტიპის ხარჯია გამოყოფილი, რითაც უფრო სრულყოფილი სურათი იქმნება.
- არ არსებობს პარტიების ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო. ცესკოს მხოლოდ ინფორმაციის თავმოყრა ევალება და მაკონტროლებლის ფუნქცია არ აქვს. ამიტომ ის უამრავი ხარვეზი და არათანამიმდევრულობა, რომლებიც ფინანსური ანგარიშების ანალიზისას იკვეთება, სათანადო რეაგირების გარეშე რჩება.
- პარტიის შემოსავლის ძირითადი ნაწილი საარჩევნო კამპანიას ხმარდება. შესაბამისად, პარტიის მუდმივ ანგარიშზე წინასაარჩევნოდ უფრო მეტი თანხა შედის, ვიდრე არასაარჩევნო პერიოდში. ამის ნათელი მაგალითია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემოსავლები. კერძოდ, მან შემოწირულებების უდიდესი ნაწილი 2007 წლის ბოლოს (2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში) და 2008 წელს (5 იანვრის საპრეზიდენტო და 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდებში) მიიღო, 2009 (არასაარჩევნო) წელს კი ასეთი შემოსავალი საერთოდ არ ჰქონია. აღნიშნული თანხა წინასაარჩევნოდ საარჩევნო კამპანიის ფონდში ირიცხება და წარმომავლობის კონტროლის გარეშე განიცარება. ამასთანავე, პარტიის შემოწირულების ზედა ზღვარი არ არის დადგენილი. შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე შემომწირველმა შეიტანოს განსაზღვრულ ლიმიტზე მეტი შემოწირულება პარტიის მუდმივ ანგარიშზე და საარჩევნო კამპანიის ფონდში<sup>49</sup>.
- წინააღმდეგობრივია საჯარო ღონისძიებების მემწეობით შემოწირულების მიღების საკითხი. ეს უფლება თითქმის არც ერთ პარტიას არ გამოუყენებია. ზოგიერთი მას საფრთხის შემცველად მიიჩნევს, რადგან საჯარო ღონისძიებებზე შესაძლებელია ანონიმური შემოწირულების მიღება. ფიზიკური პირები, განსაკუთრებით ოპოზიციური პარტიის შემთხვევაში, შემოწირულების სწორედ ანონიმურად განხორციელებას ამჯობინებენ. ასე რომ, თანხის მიღების კონტროლი გართულებულია. ამასთანავე, საჯარო ღონისძიებების მემწეობით მიღებული შემოწირულებების ოდენობა ერთი წლის განმავლობაში 30 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. შესაძლებელია, პროვოკაციის მიზნით საჯარო ღონისძიებებზე ამ ზღვარზე მეტი თანხა იქნეს შეწირული, რაც პარტიას იძულებ

<sup>49</sup> მაგალითად, 2008 წელს ერთ-ერთმა იურიდიულმა პირმა – სს „ტრანსშენმა“ (იურიდიული მისამართი: დოლიძის ქ. №2) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის – მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ფონდს შესწირა 100 000 ლარი (11 იანვარს, აღნიშნული ფონდის დახურვამდე), იმავე წლის 10 მარტს კი ამ პოლიტიკურ გაერთიანებას შესწირა 75 000 ლარი. ჯამში, ერთი წლის განმავლობაში ერთი იურიდიული პირისგან ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის შეწირულმა თანხამ შეადგინა 175 000 ლარი – კანონით განსაზღვრულ მაქსიმუმზე მეტი.

ბულს გახდის, იგი ბიუჯეტში გადარიცხოს. აქედან გამომდინარე, საჯარო ღონისძიებების მეშვეობით შემოწირულების მიღების საკითხი კარგავს რელევანტობას. სწორედ ამიტომ აღნიშნული უფლება თითქმის არ გამოყენებულა.

ამ პრობლემების გადასაჭრელად, ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს ფინანსური ანგარიშგების ერთიანი, სრულყოფილი ფორმა, რომელიც შეძლებისდაგვარად დეტალურად ასახავს შემოსავლებისა და ხარჯების ტიპოლოგიას; მეორე მხრივ, საქართველოს კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს პარტიების დაფინანსების ზედამხედველობასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც მათი ფინანსური საქმიანობის სრულ კონტროლს განახორციელებს.

# ნაწილი 2

## საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

2008-2010 წლებში საქართველოში სამი არჩევნები ჩატარდა: 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო და 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის<sup>50</sup> არჩევნები. ქვემოთ განხილულია ამ არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიების დაფინანსების საკითხები – არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საარჩევნო კამპანიის ფონდი<sup>51</sup> არის საარჩევნო სუბიექტის<sup>52</sup> ფულადი სახსრებისა და უსასყიდლოდ მიღებული საქონლის და მომსახურების (საბაზრო ფასებით) ერთობლიობა. ამ ფონდში ირიცხება ნებისმიერი შემოსავალი, რომლის მოზიდვასაც შეძლებს საარჩევნო სუბიექტი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში.<sup>53</sup> საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრები და უსასყიდლოდ მიღებული საქონელი და მომსახურება ითვლება საარჩევნო კამპანიის ფონდში საარჩევნო შემოწირულობად.<sup>54</sup>

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ადგენს შეზღუდვას, რომლის შესაბამისადაც, საარჩევნო კამპანიის ფონდში მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობები არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისაგან (მათ შორის, ინდივიდუალური მეწარმისაგან) 30 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისაგან – 100 000 ლარს. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება პარტიის მიერ საკუთარ საარჩევნო კამპანიის ფონდში განხორციელებულ შემოწირულობებზე.<sup>55</sup> კოდექსი კრძალავს ფონდში შემოწირულობების მიღებას: სხვა სახელმწიფოსაგან, სხვა სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან, მოქალაქეობის არმქონე პირისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციისა და მოძრაობისაგან, არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან, რელიგიური ორგანიზაციისაგან, ისეთი სამეწარმეო იურიდიული პირისაგან, რომელშიც არის სახელმწიფო წილი.<sup>56</sup>

არჩევნების დასრულების შემდეგ საარჩევნო სუბიექტი ცესკოს წარუდგენს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, რომელიც მოიცავს: აუდიტორულ დასკვნას, ინფორმაციას შემოწირულობების შესახებ, ზოგად და დეტალურ ხარჯთაღრიცხვას. ამ ანგარიშის წარდგენა ხდება ცესკოს მიერ დამტკიცებული ფორმით.<sup>57</sup>

<sup>50</sup> ამ არჩევნების სრული დასახელებაა „2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის მერისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები“.

<sup>51</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (2001 წლის 2 აგვისტო, №1047-რს; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001, მუხ. 107), 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>52</sup> საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან თანამდებობის კანდიდატი, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოკი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი).

<sup>53</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 46-ე მუხლის მე-7 ნაწილები.

<sup>54</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>55</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 47-ე მუხლის 3<sup>1</sup> და 3<sup>2</sup> ნაწილები.

<sup>56</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 47-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

ცესკოსთან არჩევნების დანიშნვიდან 5 დღის ვადაში იქმნება საზოგადოების წარმომადგენლებით, იურისტებითა და ლიცენზირებული აუდიტორებით დაკომპლექტებული ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამოწმებს ცესკოში წარდგენილ ანგარიშებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.<sup>58</sup>

### 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები

2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა 7 საარჩევნო სუბიექტი:

1. არკადი პატარკაციშვილი (საინიციატივო ჯგუფი);
2. გიორგი მაისაშვილი („გიორგი მაისაშვილი“);
3. დავით გამყრელიძე („ახალი მემარჯვენეები – ახლები“);
4. ირინა სარიშვილი-ჭანტურია (საინიციატივო ჯგუფი);
5. ლევან გაჩეჩილაძე („თავისუფლება“);<sup>59</sup>
6. მიხეილ სააკაშვილი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“);
7. შალვა ნათელაშვილი („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“).

ეს ანგარიში მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების საკითხებს მიმოიხილავს, რომელთა წარმდგენმა პარტიებმაც მოგვიანებით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, მანდატები მოიპოვეს თბილისში. ეს სუბიექტები არიან: დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, მიხეილ სააკაშვილი.

#### საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის იურიდიულ პირთაგან შემოწირულებები, ძირითადად, მმართველმა პარტიამ მიიღო.<sup>60</sup> მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ფონდს თითქმის ორჯერ მეტი ფიზიკური პირი ჰყავდა შემომწირველი, ვიდრე დანარჩენი ორი კანდიდატისას ერთად. დავით გამყრელიძის შემთხვევაში შემომწირველ ფიზიკურ პირთა 3/4 პარტიის წევრი იყო, დანარჩენები კი – გარეშე პირები. *იხილეთ ცხრილი №11.*

#### ცხრილი №11. შემომწირველთა რაოდენობა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის<sup>61</sup>

სუბიექტი	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>62</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
დავით გამყრელიძე	20	15	0	1	21
ლევან გაჩეჩილაძე <sup>63</sup>	28	3 <sup>64</sup>	2	2	32
მიხეილ სააკაშვილი <sup>65</sup>	108	არ არის ხელმისაწვდომი <sup>66</sup>	138 <sup>67</sup>	1	247

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

<sup>57</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2003 წლის 4 ოქტომბრის №58/2003 განკარგულება. იხ. [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GE0&sec\\_id=62&info\\_id=6220](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=62&info_id=6220). ხარჯთაღრიცხვის ფორმის ნიმუში იხილეთ დანართის ცხრილში №1 ცესკოს მიერ დადგენილი ფორმა საარჩევნო ხარჯებისათვის.

<sup>58</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 48-ე მუხლის 10<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>59</sup> ოფიციალურად ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანიის ფონდს განკარგავდა პარტია „თავისუფლება“. თუმცა გაჩეჩილაძის წარმდგენ ბლოკში აღიანის სახით შედიოდნენ „რესპუბლიკური პარტია“, „საქართველოს გზა“, „კონსერვატიული პარტია“ და სხვა ოპოზიციური გაერთიანებები.

<sup>60</sup> იურიდიული პირების შემოწირულებებთან მიმართებით ანალოგიური სურათია აქ არგანული სუბიექტების შემთხვევაში.

<sup>61</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამები №16–17 შემოწირულებებისა და შემომწირველთა რაოდენობა საპრეზიდენტო არჩევნებზე.

<sup>62</sup> შემომწირველი ფიზიკური პირების რაოდენობაში შედის პარტიის წევრები. იურიდიული პირებიდან კი გამოყოფილია – პარტია/პარტიები.

<sup>63</sup> ლევან გაჩეჩილაძის ფონდის ანგარიშში შემომწირველებად 10 იურიდიული პირი იყო მითითებული, თუმცა მათგან 8 სატელევიზიო და რადიომაუწყებლები იყვნენ, რომელთაც სუბიექტისათვის საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული ფუასო რეკლამა განათავსეს. კანონი ამ ინფორმაციის მითითებას არ მოითხოვს. შესაბამისად, ის ცხრილიდანაც ამოღებულია.

<sup>64</sup> შესაძლოა, ლევან გაჩეჩილაძის დაფინანსებელ ფიზიკურ პირებს შორის უფრო მეტი პარტიის წევრია, ვიდრე აქ არის მითითებული. ჩვენ ვერ შევძელით პარტიული სიების მიღება ყველა იმ პარტიისგან, რომლებიც ლევან გაჩეჩილაძის კანდიდატად წარმდგენ ბლოკში იყო გაერთიანებული.

<sup>65</sup> ფიზიკური პირები ასევე მოიცავს ინდივიდუალურ მეწარმებს (ინდივიდუალურმა მეწარმებმა შემოწირულება მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ფონდში განახორციელეს, სულ 10-მა ასეთმა სუბიექტმა შესწირა მას სხვადასხვა ოდენობის თანხა).

<sup>66</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თითოეული პოლიტიკური ძალისაგან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ შემომწირველ ფიზიკურ პირთაგან, რომლებიც იყვნენ პარტიის წევრები. მის გაცემაზე უარი განაცხადა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, იმ მოტივით, რომ ინფორმაციის მიწოდება არ იყო სავალდებულო საარჩევნო კანონმდებლობით და მას ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არ ჰქონდა დაკისრებული. სხვა პარტიებს უარი არ განუცხადებიათ აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე.

<sup>67</sup> 138 იურიდიული პირიდან 41 (რომელთაც ჯამში კანდიდატს შესწირეს 2 979 215 ლარი), 2010 წლის მდგომარეობით, მსხვილი გადამხდელია. საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, მსხვილი გადამხდელი არის იურიდიული პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) გადასახადის გადამხდელის წლიური ბრუნვის მოცულობა (აღემატება 3 მლნ. ლარს); ბ) გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების ოდენობა (არანაკლებ 150 ათასი ლარი); გ) აქციონის გადამხდელთათვის გადამხდელის წლიური ბრუნვის მოცულობა (აღემატება 1.5 მლნ. ლარს); დ) აქციონის გადამხდელთათვის საგადასახადო ვალდებულების ოდენობა (არანაკლებ 100 ათასი ლარი). „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი (2010 წლის 31 დეკემბრამდე მდგომარეობით).

ორი ოპოზიციური კანდიდატის მიერ მიღებულ შემოწირულებათა საერთო თანხა 1 მილიონ ლარზე ნაკლებია, მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული შემოწირულებებისა კი – დაახლოებით 23 მილიონი ლარი (მათ შორის, 12,7 მილიონი ლარი – პირდაპირ საარჩევნო კამპანიის ფონდში, ხოლო 10,3 მილიონი ლარი – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშიდან). იხილეთ ცხრილი №12.

**ცხრილი №12. შემოწირულებების ოდენობა შემომწირველთა მიხედვით  
2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის**

სუბიექტი	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>68</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
დავით გამყრელიძე	145 000.00	127 000.00	–	7 500.00	152 500.00
ლევან გაჩეჩილაძე <sup>69</sup>	630 390.00	80 000.00	93 350.00	13 593.00	737 333.00
მიხეილ სააკაშვილი	2 792 362.53	არ არის ხელმისაწვდომი <sup>70</sup>	9 895 800.00	10 297 955.82	22 986 118.35

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

მმართველი პარტიის ანგარიშიდან გადარიცხული თანხის 89% პარტიამ წინასაარჩევნო პერიოდში შემოწირულებების სახით მიიღო და შემდეგ თავისი სახელით გადარიცხა მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ფონდში. თუ გადავხედავთ პარტიის 2007-2008 წლების შემომწირველებს (ვინაიდან არჩევნები 2008 წლის იანვარში იყო, ფონდი 2007 წლის ოქტომბერში გაიხსნა და 2008 წლის 25 იანვარს დაიხურა), ვნახავთ, რომ 240 იურიდიული პირიდან 239-მა შემოწირულებები სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში განახორციელა. მათი საერთო თანხაა 8 647 837 ლარი – პარტიის მიერ 2007 წელს იურიდიულ პირთაგან მიღებული შემოწირულებების 94%. ამდენად, მიხეილ სააკაშვილი წინასაარჩევნო პერიოდში რეალურად 377-მა იურიდიულმა პირმა დააფინანსა.

ყველა (23-მა) ფიზიკურმა პირმა ასევე წინასაარჩევნო პერიოდში განახორციელა პარტიის ანგარიშზე 279 597 ლარის ოდენობის შემოწირულებები.

საარჩევნო კამპანიის ფონდში პარტიის მიერ განხორციელებული შემოწირულებების კონტროლი გართულებულია, რადგან შემომწირველთა იდენტიფიცირება მას შემდეგ ხდება შესაძლებელი, რაც პარტია წლიურ ფინანსურ ანგარიშს ამზადებს და ცესკოში წარადგენს. ეს ანგარიში მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე უნდა იქნეს წარდგენილი, საარჩევნო კამპანიის ფონდის შესახებ ინფორმაცია კი არჩევნების დასრულებიდან მოკლე ხანში ხდება საჯარო.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდებში შემოწირულებები არჩევნების შემდეგაც განხორციელდა (იხილეთ ცხრილი №13). პარტიათა განმარტებით,<sup>71</sup> ეს ხდება ფონდის მიერ აღებული ვალდებულებების დასაფარავად,<sup>72</sup> რომელთათვისაც ფონდში საკმარისი თანხები არ რჩება. ოპოზიციური პარტიების განცხადებით, ასეთ შემოწირულებებს ძირითადად თავად ეს პარტიები ან მათი წევრები ახორციელებენ.

არჩევნების შემდეგ განხორციელებული შემოწირულებების განსაკუთრებით დიდი მოცულობით მმართველი პარტია გამოირჩევა. 138 შემომწირველი იურიდიული პირიდან 83-მა (60%-ზე მეტმა) შემოწირულება არჩევნების შემდეგ,

<sup>68</sup> იხ. სქოლიო 62.  
<sup>69</sup> საარჩევნო ანგარიშის თანახმად, ლევან გაჩეჩილაძის ფონდის შემოსავალი დაახლოებით 6,860 მლნ ლარს შეადგენდა, თუმცა აქედან 6,123 მლნ ლარი კანონით გათვალისწინებული უფასო რეკლამის საფასური იყო.  
<sup>70</sup> იხ. სქოლიო 66.  
<sup>71</sup> ავტორის ინტერვიუები ბლოკის „ალიანსი საქართველოსათვის“ გენერალურ მდივანთან, ზურაბ აბაშიძესთან, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელთან, გიგლა აგულაშვილთან, და პოლიტიკური გაერთიანების „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ წარმომადგენელთან.  
<sup>72</sup> ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა განმარტებით, ხშირად პარტიებს ზედმეტად ოპტიმისტური გათვლების გამო მეტი შემოწირულების მიღების იმედი აქვთ და წინასწარ ხარჯავენ იმაზე მეტს, ვიდრე რეალური შემოწირულებებია (სარეკლამო დაკვეთების, ბილბორდების გამოყენების დავალიანებები და სხვ.).

საარჩევნო კამპანიის ფონდის დახურვამდე რამდენიმე დღით ადრე განახორციელა.<sup>73</sup> თანხობრივად ასეთმა შემოწირულებებმა იურიდიულ პირთაგან მიღებული მთლიანი თანხის თითქმის 65% შეადგინა.

**ცხრილი №13. შემომწირველები 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ**

სუბიექტი	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>74</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
დავით გამყრელიძე	0	0	0	0	0
ლევან გაჩეჩილაძე	4	0	0	0	4
მიხეილ სააკაშვილი	37	არ არის ხელმისაწვდომი <sup>75</sup>	83	0	121

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

მთლიანობაში, არჩევნების შემდეგ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულებები პროცენტულად შეადგენდა: ლევან გაჩეჩილაძის შემთხვევაში – 14%-ს, ხოლო მიხეილ სააკაშვილის – 33%-ს. იხილეთ ცხრილი №14.

**ცხრილი №14. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ განხორციელებული შემოწირულებების ოდენობა შემომწირველთა მიხედვით**

სუბიექტი	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>76</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
დავით გამყრელიძე	–	–	–	–	–
ლევან გაჩეჩილაძე	101 990.00	–	–	–	101 990.00
მიხეილ სააკაშვილი	1 248 800.00	არ არის ხელმისაწვდომი <sup>77</sup>	6 479 975.00	–	7 728 775.00

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშში უნდა აღიწეროს, რა ტიპის შემოწირულება მიიღო საარჩევნო სუბიექტმა – ფულადი თუ არაფულადი. ზოგიერთი პარტია დეტალურად უთითებს შემოწირულების სახეს (საოფისე ფართობის ქირავნობა და სხვ.), თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მიეთითება მხოლოდ „ფულადი“ ან „არაფულადი“. მაგალითად, ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშში მითითებული იყო: „საოფისე ფართი“, „საოფისე მომსახურება“, „სხვადასხვა მომსახურება“, სხვა კანდიდატებს კი მხოლოდ „არაფულადი“ ჰქონდათ მითითებული.

პარტიათა შემოწირულებები ძირითადად ფულადი იყო. დავით გამყრელიძეს არაფულადი შემოწირულება საერთოდ არ მიუღია. ლევან გაჩეჩილაძეს მიღებული აქვს 9 ასეთი შემოწირულება, რომლებიც მთლიანი შემოწირულებების მხოლოდ 2%-ია. მიხეილ სააკაშვილმა კი სულ 4 არაფულადი შემოწირულება მიიღო – მთლიანი შემოწირულებების 15%. იხილეთ ცხრილები №15-16.

<sup>73</sup> მმართველმა პარტიამ ეს შემოწირულებები 9-11 იანვარს მიიღო. საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების წარდგენის ბოლო ვადა 13 იანვარი იყო. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტებმა, რომლებიც წინასწარი მონაცემებით ხმების ამ კანონით დადგენილ რაოდენობას მიიღებენ, კენჭისყრის დღიდან არა უგვიანეს 8 დღისა საარჩევნო კომისიას არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშები უნდა წარუდგინონ. ანგარიშებში მითითებული უნდა იყოს საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების წყარო და მას უნდა ახლდეს აუდიტორული დასკვნა.

<sup>74</sup> იხ. სქოლიო 62.

<sup>75</sup> იხ. სქოლიო 66.

<sup>76</sup> იხ. სქოლიო 62.

<sup>77</sup> იხ. სქოლიო 66.

**ცხრილი №15. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ფულადი და არაფულადი შემოწირულობების განმარტოვებები<sup>78</sup>**

სუბიექტი	ფულადი (ფიზიკური პირები)	არაფულადი (ფიზიკური პირები)	ფულადი (იურიდიული პირები)	არაფულადი (იურიდიული პირები)	ჯამი
დავით გამყრელიძე	20	0	1	0	21
ლევან გაჩეჩილაძე	22	6	1	3	32
მიხეილ სააკაშვილი	108	0	136	4	248

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

**ცხრილი №16. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის განხორციელებულ ფულად და არაფულად შემოწირულობათა ოდენობები**

სუბიექტი	ფულადი (ფიზიკური პირები)	არაფულადი (ფიზიკური პირები)	ფულადი (იურიდიული პირები)	არაფულადი (იურიდიული პირები)	ჯამი
დავით გამყრელიძე	145 000.00	–	7 500.00	–	152 500.00
ლევან გაჩეჩილაძე	627 990.00	2 400.00	93 200.00	13 743.00	737 733.00
მიხეილ სააკაშვილი	2 792 362.53	–	16 689 685.93	3 504 069.89	22 986 118.35

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

**საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები**

საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში ცესკოს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით ხორციელდება.<sup>79</sup> საარჩევნო სუბიექტებს ხარჯვის განსხვავებული პრიორიტეტები აღმოაჩნდათ (იხილეთ ცხრილები №17-18).<sup>80</sup>

მიხეილ სააკაშვილმა ხარჯების 50%-ზე მეტი სატელევიზიო რეკლამაზე გასწია. ოპოზიციურმა კანდიდატებმა სარეკლამო რგოლების განსათავსებლად ძირითადად კანონით გათვალისწინებული უფასო სარეკლამო დრო გამოიყენეს. ამიტომ მათი სარეკლამო ხარჯები თითქმის ნულის ტოლი იყო. ხარჯების უდიდესი ნაწილი ამ კანდიდატებმა პარტიის წევრებისა და აქტივისტების შრომის ანაზღაურებასა და ბეჭდური სააგიტაციო მასალების დამზადებაზე გასწიეს.

<sup>78</sup> ამ ცხრილის მიხედვით შემოწირველთა რაოდენობა, შესაძლოა, რეალურზე მეტი იყოს, რადგან ზოგიერთ ფიზიკურ/იურიდიულ პირს ან პარტიას შეიძლება ორივე ტიპის შემოწირულება ჰქონდეს განხორციელებული და ისინი განმეორდეს ცხრილში (თუმცა უმრავლეს შემთხვევაში პარტია ასეთ შემოწირულებას ახორციელებს – მაგალითად, თანხას გადარიცხავს და თან თავის ოფისს დაუთმობს. ოფისის დათმობა არაფულადი შემოწირულებაა).

<sup>79</sup> ხარჯთაღრიცხვის ფორმის ნიმუში იხილეთ დანართის ცხრილში №1. ცესკოს მიერ დადგენილი ფორმა საარჩევნო ხარჯებისათვის.

<sup>80</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამა №18 საარჩევნო ფონდების ხარჯები 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

**ცხრილი №17. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები (ნაწილი 1)**

პოლიტიკური გაერთიანება	შრომის ანაზღაურება	სარეკლამო რგოლები (მ. შ. დამზადება)	რეკლამა პრესაში და ბილბორდები (მ. შ. დამზადება)	მასობრივი ლონისძიებები
დავით გამყრელიძე	0.00	14 852.00	10 000.00	13 212.94
ლევან გაჩეჩილაძე	300 071.00	292 586.00	0.00	0.00
მიხეილ სააკაშვილი	967 533.00	12 469 530.00	2 322 552.00	3 601 174.00

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები


**ცხრილი №18. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები (ნაწილი 2)**

პოლიტიკური გაერთიანება	ბეჭდური სააგენტოს მასალების დამზადება	სოციალური გამოკითხვა, კონსულტაციები	სხვა ხარჯები	კაპიტალური ხარჯები	სულ ხარჯები
დავით გამყრელიძე	38 773.00	0.00	73 058.07	0.00	149 896.01
ლევან გაჩეჩილაძე	35 750.00	0.00	92 699.00	0.00	721 106.00
მიხეილ სააკაშვილი	1 832 991.00	143 257.00	1 643 054.00	5 990.00	22 986 081.42


\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშებში „სხვა ხარჯები“ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშებისაზე გაცილებით მცირეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც უნდა იყოს, რომ კამპანიის ფონდის ანგარიშისათვის წინასწარ დადგენილია ფორმა და თანხებიც ამის მიხედვით ნაწილდება. ყოველწლიური ანგარიშის შემთხვევაში კი სავალდებულო ფორმის არარსებობის გამო ბევრი ხარჯი „სხვა ხარჯებშია“ გაერთიანებული. იხილეთ დიაგრამები №5-7.


**დიაგრამა №5. დავით გამყრელიძის საარჩევნო ფონდის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები**



დიაგრამა №6. ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო ფონდის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები



დიაგრამა №7. მისხელ სააკაშვილის საარჩევნო ფონდის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები



### 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები

2008 წელს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა 14 საარჩევნო სუბიექტი:

1. ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები);<sup>81</sup>
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
3. „თავისუფლება“;

<sup>81</sup> „გაერთიანებულ ოპოზიციაში“ შედიოდნენ: „ახალი მემარჯვენეები – ახლები“, „თავისუფლება“, „საქართველოს გზა“, „ჩვენ თვითონ“, „ხალხის პარტია“, „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, „ქართული დასი“, „ეროვნული ფორუმი“.

4. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
5. „მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის“;
6. „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
7. „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
8. „სპორტსმენთა კავშირი“;
9. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია“;
10. ბლოკი „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“;
11. „ქართული პოლიტიკა“;
12. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“;
12. „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი“;
14. „ჩვენი ქვეყანა“.

ეს ანგარიში მხოლოდ იმ საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების საკითხებს მიმოიხილავს, რომლებმაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის შედეგად მოიპოვეს მანდატები. ესენი არიან: ბლოკი „გაერთიანებული ოპოზიცია“ (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“; „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

#### საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები

პარტიებს ერთმანეთისგან განსხვავებული შემომწირველთა სტრუქტურა აღმოაჩნდათ (*იხილეთ ცხრილი №19*). საპარლამენტო არჩევნებისთვის ყველაზე მეტი შემომწირველი ფიზიკური პირი (35) (მათ თითქმის ნახევარს პარტიის წევრები შეადგენდნენ) საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას ჰყავდა, ყველაზე მეტი შემომწირველი იურიდიული პირი (44) კი – ისევ მმართველ პარტიას.

#### ცხრილი №19. შემომწირველთა რაოდენობა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>82</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
გაერთიანებული ოპოზიცია	24	15	0	0	24
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა <sup>83</sup>	29	არ არის ხელმისაწვდომი <sup>84</sup>	44 <sup>85</sup>	1	74
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	6	1	2	1	10
რესპუბლიკური პარტია	35	16	5	1	41
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	13	8	0	0	20

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

შემოწირულებათა დიდი ნაწილი ოპოზიციურმა პარტიებმა ფიზიკური პირებისგან მიიღეს, ხოლო მმართველმა პარტიამ – იურიდიული პირებისგან. ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მეტ-ნაკლებად თანაბარი შემომწირულებები მიიღო საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ ყველაზე მეტი ფიზიკური პირისგან მიიღო შემომწირულება, უფრო მეტი თანხა „გაერთიანებულ ოპოზიციას“ აქვს მიღებული. ამასთანავე, „გაერთიანებულ ოპოზიციას“ ფიზიკურ პირთა შემომწირულებების 62%-ზე მეტი პარტიის წევრთაგან აქვს მიღებული, მმართველმა პარტიამ კი იურიდიულ პირთაგან შემომწირულებების 80%-მდე პარტიიდან გადარიცხული თანხებით მიიღო. *იხილეთ ცხრილი №20<sup>86</sup>*.

<sup>82</sup> იხ. სქოლიო 62.

<sup>83</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველთა სიაში გამოჩენილი ჰქონდა 2 იურიდიული პირი. ამის გამო ჩვენს მონაცემსა და ენმ-ის მონაცემს შორის სხვაობაა. სხვაობა თანხობრივად 150 000 ლარს შეადგენს. დეტალებისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: „ერთიანი ეროვნული მოძრაობა (2008 საპარლამენტო არჩევნები – იურიდიულ პირთა შემომწირულებები)“.

<sup>84</sup> იხ. სქოლიო 66.

<sup>85</sup> 44 იურიდიული პირიდან 41 (რომელთაც ჯამში კანდიდატს შესწირეს 2 979 215 ლარი) 2010 წლის მდგომარეობით ითვლება მსხვილ გადამხდელად [განმარტებისათვის იხ. სქოლიო 67].

<sup>86</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამები №19-20 შემომწირულებები და შემომწირველები საპარლამენტო არჩევნებისათვის.

**ცხრილი №20. შემოწირულებების ოდენობა შემომწირველთა მიხედვით  
2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის**

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>87</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
გაერთიანებული ოპოზიცია	481 790.00	302 040.00	–	–	481 790.00
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	157 405.00	არ არის ხელმისაწვდომი <sup>88</sup>	2 287 427.00	9 496 965.68	11 941 797.68
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	43 013.00	11 000.00	14 650.00	46 784.45	104 447.45
რესპუბლიკური პარტია	329 998.44	136 804.36	301 760.00	50 626.31	682 384.75
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	241 569.40	180 234.40	–	–	241 569.40

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

საპარლამენტო არჩევნებისთვის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წინა, საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით ნაკლები შემომწირველი ჰყავდა. ოპოზიციის მიერ მიღებული შემოწირულებების საერთო ოდენობა საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდი საპარლამენტო არჩევნებისთვის 17-ჯერ აღემატებოდა მეორე, ყველაზე მეტი შემოწირულების მიმღები პარტიის (საქართველოს რესპუბლიკური პარტია) საარჩევნო კამპანიის ფონდს.

მმართველმა პარტიამ საკუთარი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშზე დაახლოებით 4-ჯერ მეტი თანხა გადა-რიცხა, ვიდრე მისმა ყველა დანარჩენმა შემომწირველმა ერთად. 2008 წელს პარტიას ჰყავდა 454 შემომწირველი იურიდიული პირი,<sup>89</sup> რომლებმაც მას დაახლოებით 12 მილიონი ლარი შესწირეს. მათგან 230-მა დაახლოებით 6 მილიონი ლარი მმართველ პარტიას 2008 წლის მარტიდან ივნისამდე (იმ პერიოდში, როდესაც საარჩევნო კამპანიის ფონდიც გახსნილი იყო) შესწირა. იმავე პერიოდში გადარიცხა პარტიის საარჩევნო კამპანიის ფონდში 558 000 ლარი 40-მა ფიზიკურმა პირმა. 2008 წელს მმართველ პარტიას 52 შემომწირველი ფიზიკური პირი ჰყავდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ, საარჩევნო კამპანიის ფონდების დახურვამდე განხორციელებული შემოწირუ-ლებების საერთო ოდენობა 107 757 ლარია.<sup>90</sup> ამ არჩევნების შემდეგ მიღებული შემოწირულებები პროცენტულად შეადგენდა: „გაერთიანებული ოპოზიციის“ შემთხვევაში – 5%-ს, „საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა“ – 11%-ს ხოლო პოლიტიკური გაერთიანებისა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 28%-ს. სხვა საარჩევნო სუბიექტებს ასეთი შემოწირულებები არ მიუღიათ. ამგვარი შემოწირულებები ძირითადად პარტიის წევრებმა ან თავად პარ-ტიებმა განახორციელეს.

არაფულადი შემოწირულებები<sup>91</sup> სულ სამმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მიიღო. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2 ფიზიკური პირისგან 10 255 ლარი და თავისივე ანგარიშიდან 1,5 მილიონი ლარი აქვს მიღებული. არც ერთ შემთხვევაში არაა დაკონკრეტებული, რა მომსახურება ან საქონელი მიიღო სუბიექტმა. პოლიტიკურ გაერთიანებას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ასევე პარტიისგან აქვს მიღებული 11 784 ლარი არაფულადი შემოწი-რულების, კერძოდ, საოფისო ფართობის ქირავნობისა და აუდიტორის მომსახურების ღირებულების, სახით. საქარ-თველოს რესპუბლიკურმა პარტიამ კი 10 ფიზიკური პირისგან მიიღო არაფულადი შემოწირულებები, თუმცა არ აქვს დაკონკრეტებული, რა სახის, ხოლო 3 იურიდიული პირისგან (მათ შორის, თავად პარტიისგან) მიღებული შემოწირულებების ნაწილზე მითითებულია: კომუნალური, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ხარჯები, ოფისების ქირა და შრომის ანაზღაურება. საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას არაფულადი შემოწირულების სახით ფიზი-კური პირებისგან 56 264 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისგან – 42 386 ლარი აქვს მიღებული.

<sup>87</sup> იხ. სქოლიო 62.

<sup>88</sup> იხ. სქოლიო 66.

<sup>89</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდზე: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (წლიური დაფინანსება 2008 წ. – იურიდიული პირების შემოწირულებები)“.

<sup>90</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილები №№2-3 არჩევნების შემდგომი პერიოდის შემოწირულებები და შემომწირველთა რაოდენობა.

<sup>91</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილები №№4-5 ფულადი და არაფულადი ტიპის შემოწირულებები და შემომწირველთა რაოდენობა.


## საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები

წინა, საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად, საპარლამენტო არჩევნების დროს თანხების უმრავლესობა რეკლამისთვის დაიხარჯა.<sup>92</sup> ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა ეს თანხები ბეჭდური სააგიტაციო მასალების დამზადებისთვის გამოიყენა, ხოლო მმართველმა პარტიამ – სატელევიზიო რეკლამისთვის. დიაგრამები №8-12 გრაფიკულად წარმოადგენს საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯებს.

ძალიან მცირე თანხებია მითითებული „შრომის ანაზღაურების“ გრაფებში. დეტალური ხარჯთაღრიცხვის ანალიზით ჩანს, რომ დაქირავებულ შრომას პარტიები მივლინების სახით აფორმებდნენ. სავარაუდოდ, ეს გამოწვეულია საგადასახადო რეგულაციით, კერძოდ, იმით, რომ შრომის ანაზღაურება 20%-იანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრება, მივლინება კი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ ფარგლებში (დღიური 15 ლარი საქართველოს ფარგლებში)<sup>93</sup> არ დაიბეგრება.

საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის ფონდების ანგარიშებში „სხვა ხარჯები“ საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით უფრო დიდი ოდენობითაა. ასეთი ხარჯები „გაერთიანებული ოპოზიციისთვის“ მთლიანი ხარჯების 41%-ია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ – 9%, პოლიტიკური გაერთიანებისთვის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 1%, საქართველოს რესპუბლიკური პარტიისთვის – 72% და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“ – 6%.


დიაგრამა №8. „გაერთიანებული ოპოზიციის“ მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება



<sup>92</sup> იხილეთ დანართის ცხრილები №№6-7 და დიაგრამა №21 საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის ხარჯების შესახებ.


<sup>93</sup> იხ. „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

დიაგრამა №9. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება




- შრომის ანაზღაურება
- სარეკლამო რგოლები
- რეკლამა პრესაში და ბილბორდები
- მასობრივი ღონისძიებები
- ბეჭდური სააგენტოს მასალების დამზადება
- სოციალური გამოკითხვა, კონსულტაციები
- სხვა ხარჯები
- კაპიტალური ხარჯები

დიაგრამა №10. პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება




- შრომის ანაზღაურება
- დამქირავებელიდან ანარიცხები
- სარეკლამო რგოლები
- რეკლამა პრესაში და ბილბორდები
- მასობრივი ღონისძიებები
- ბეჭდური სააგენტოს მასალების დამზადება
- სოციალური გამოკითხვა, კონსულტაციები
- სხვა ხარჯები
- კაპიტალური ხარჯები

დიაგრამა №11. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება



- სარეკლამო რგოლები
- რეკლამა პრესაში და ბილბორდები
- მასობრივი ღონისძიებები
- ბეჭდური სააგენტოების დახმარება
- სხვა ხარჯები
- კაპიტალური ხარჯები

დიაგრამა №12. რესპუბლიკური პარტიის მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება



- წრის ანაზღაურება
- სხვა ხარჯები

## 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები:

1. ბლოკი „ალიანსი საქართველოსათვის“ (ი. ალასანია, ს. სუბარი, დ. უსუფაშვილი, დ. გამყრელიძე, ს. ზურაბიშვილი)<sup>94</sup>;
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
3. ბლოკი „ეროვნული საბჭო“<sup>95</sup>;
4. „თავისუფლება“;
5. „თორთლაძე – დემოკრატიული პარტია“;
6. „თოფაძე – მრეწველები“<sup>96</sup>;
7. „მომავალი საქართველო“;
8. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია“;
9. „ივანიშვილი – სახალხო დემოკრატები“;
10. „სოლიდარობა“;
11. „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“;
12. „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი“ (სსსა);
13. ბლოკი „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“<sup>97</sup>;
14. „ჩვენი ქვეყანა“.

არჩევნების შედეგად თბილისში მანდატები მოიპოვეს:

1. ბლოკმა „ალიანსი საქართველოსათვის“;
2. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“;
3. „თოფაძე – მრეწველებმა“;
4. ბლოკმა „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“.

საარჩევნო კამპანიის ფონდების შემოსავლები

2008 წლის ორივე არჩევნებისგან განსხვავებით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის იურიდიულ პირთაგან შემოწირულებები საარჩევნო კამპანიის ფონდში, ოპოზიციური პარტიების მსგავსად, მმართველ პარტიასაც ნაკლებად აქვს მიღებული. ფიზიკურ პირთაგან ოპოზიციურმა პარტიებმა მმართველ პარტიაზე გაცილებით მეტი შემოწირულება მიიღეს. შემომწირველ ფიზიკურ პირებს შორის პარტიის წევრი წინა ორივე არჩევნებთან შედარებით ნაკლებია. იურიდიულმა პირებმა საერთოდ არ დააფინანსეს „ალიანსი საქართველოსათვის“ და „ეროვნული საბჭო“. იხილეთ ცხრილები №N<sup>21</sup>-22.<sup>98</sup>

<sup>94</sup> ბლოკში შედიოდნენ: საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ახალი მემარჯვენეები (ახლები), ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები, საქართველოს გზა.

<sup>95</sup> ბლოკში შედიოდნენ: საქართველოს კონსერვატიული პარტია, ხალხის პარტია, მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის.

<sup>96</sup> 2010 წლის არჩევნებზე „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ „თოფაძე – მრეწველების“ სახელით გამოდიოდა. კვლევის სხვა ნაწილებში მოხსენიებულია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

<sup>97</sup> ბლოკში შედიოდნენ: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ჩვენ თვითონ, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია. ფინანსურ ანგარიშს წარმართავდა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, ამიტომ ტექსტში მოხსენიებულია „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“.

<sup>98</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის დიაგრამები №N<sup>22</sup>-23 შემომწირველთა რაოდენობა და შემოწირულებათა მოცულობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე.

**ცხრილი №21. შემომწირველთა რაოდენობა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის**

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>99</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
ალიანსი საქართველოსათვის	70	8	0	3	73
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2	არ მოგვაწოდა ინფორმაცია <sup>100</sup>	9 <sup>101</sup>	1	12
ეროვნული საბჭო	3	1	0	1	4
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	5	0	9 <sup>102</sup>	1	15
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	16	0	4 <sup>103</sup>	0	20

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

ფიზიკურ პირთაგან მიღებული შემომწირულებების თანხა საკმაოდ მცირეა. იურიდიულ პირთაგან მმართველ პარტიას პოლიტიკურ გაერთიანებაზე „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ნაკლები თანხა აქვს მიღებული, თუმცა თავად პარტიის მიერ გამოყოფილი საარჩევნო დაფინანსების მხრივ, წინა ორი არჩევნების მგავსად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს. მმართველმა პარტიამ საკუთარ საარჩევნო კამპანიის ფონდს 13,5 მილიონი ლარი შესწირა – მთლიანი შემომწირულებების 96%. იხილეთ ცხრილი №22.

**ცხრილი №22. შემომწირულებების ოდენობა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის**

პოლიტიკური გაერთიანება	ფიზიკური პირები	მ. შ. პარტიის წევრები <sup>99</sup>	იურიდიული პირები	პარტია	ჯამი
ალიანსი საქართველოსათვის	116 445.39	17 937.00	–	13 000.00	147 382.39
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	523.00	არ მოგვაწოდა ინფორმაცია <sup>104</sup>	600 000.00	13 512 888.80	14 113 411.80
ეროვნული საბჭო	58 895.00	22 528.50	–	94 985.00	176 408.50
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	101 177.00	–	849 930.00	7 000.00	958 107.00
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	246 631.00	–	400 000.00	–	646 631.00

\* წყარო: ცესკოდან მიღებული პოლიტიკური პარტიების ანგარიშები

<sup>99</sup> იხ. სქოლიო 62.

<sup>100</sup> იხ. სქოლიო 66.

<sup>101</sup> 9 იურიდიული პირიდან 5 (რომელთაც ჯამში კანდიდატს შესწირეს 310 000 ლარი) 2010 წლის მდგომარეობით ითვლება მსხვილ გადამხდელად (განმარტებისათვის იხ. სქოლიო 67).

<sup>102</sup> 9 იურიდიული პირიდან 4 (რომელთაც ჯამში კანდიდატს შესწირეს 400 000 ლარი) 2010 წლის მდგომარეობით ითვლება მსხვილ გადამხდელად (განმარტებისათვის იხ. სქოლიო 67).

<sup>103</sup> 4 იურიდიული პირიდან 2 (რომელთაც ჯამში კანდიდატს შესწირეს 200 000 ლარი) 2010 წლის მდგომარეობით ითვლება მსხვილ გადამხდელად (განმარტებისათვის იხ. სქოლიო 67).

<sup>104</sup> იხ. სქოლიო 66.

ყოველწლიური ფინანსური ანგარიშების მიხედვით, 2009 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, შემოწირულებები მიიღეს მხოლოდ „კონსერვატიულმა პარტიამ“ (17 345 ლარი) და „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ (38 778 ლარი). ამიტომ, ცხადია, პარტიათა მიერ 2010 წლის არჩევნების საარჩევნო კამპანიის ფონდებში გადარიცხული თანხები ან 2009 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ნაშთია, ან 2010 წელს მიღებული დაფინანსება (2010 წელს ბიუჯეტიდან მიღებული თანხები ან/და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულებები). ბლოკის „ალიანსი საქართველოსათვის“ წევრმა პარტიებმა განაცხადეს, რომ ეს თანხა ყოველწლიური დაფინანსების ნაწილი იყო, მათ შორის, სსიპ – „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისგან“ მიღებული თანხა.<sup>105</sup> „ეროვნული საბჭოს“ შემთხვევაში შემოწირულებათა უმეტესი ნაწილი პოლიტიკურ გაერთიანებაზე „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მოდიოდა. პარტიის განცხადებით, ეს თანხა ძირითადად პარტიის წევრებმა შესწირეს თავად პოლიტიკურ გაერთიანებას და იგი ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდს გადაეცა.<sup>106</sup> პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ თანხა პარტიის წევრების შემოწირული იყო.<sup>107</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ეს ინფორმაცია პარტიათა წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით მიიღო. ამის შემდეგ მან პარტიებს სათანადო დოკუმენტაციის წარდგენაც სთხოვა. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აინტერესებდა, რა წარმომავლობის იყო პარტიათა საარჩევნო კამპანიის ფონდებში გადარიცხული თანხები, კონკრეტულად რა ოდენობის შემოწირულებები მიიღეს მათ 2010 წლის განმავლობაში და შემომწირველ ფიზიკურ პირთაგან რამდენი იყო პარტიის წევრი. ამ ინფორმაციის მოწოდებაზე უარი მხოლოდ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, იმ მოტივით, რომ კანონმდებლობა მას არ ავალდებულებდა, ასეთი ინფორმაცია 2011 წლის თებერვლამდე გაეხადა საჯარო. პარტიის წერილში ეწერა: „საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-რ ნაწილით დადგენილი წესით, პოლიტიკური გაერთიანების საარჩევნო კამპანიის ფონდი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განკარგულებით დადგენილი ფორმის შესაბამისად ცესკოს წარუდგენს არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს, საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული ფულადი სახსრების მითითებით“.<sup>108</sup> შესაბამისად, ეს ინფორმაცია მხოლოდ 2011 წლის თებერვლის დასაწყისიდან<sup>109</sup> გახდა ცნობილი.<sup>110</sup>

არჩევნების შემდეგ შემოწირულებები მიიღო ყველა საარჩევნო სუბიექტმა, გარდა პოლიტიკური გაერთიანებისა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. ასეთი შემოწირულებები შეადგენდა დაფინანსების 18%-ს ბლოკისთვის „ალიანსი საქართველოსათვის“ (მისი თითქმის ნახევარი პარტიის წევრებმა შესწირეს), 4%-ს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, 0.3%-ს – „ეროვნული საბჭოსთვის“ (ის მთლიანად პარტიის წევრებმა შესწირეს) და 10%-ს – „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“.<sup>111</sup>

## 2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშებზე განხორციელებული შემოწირულებები

პოლიტიკური გაერთიანებების 2010 წლის ანგარიშები 2011 წლის თებერვალში გამოქვეყნდა. ანგარიშების ანალიზმა ცხადყო, რომ 2010 წელს ფიზიკური პირებისგან შემოწირულებები „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ და „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ მიიღეს. მათგან ყველაზე ნაკლები შემოწირულება – 7 000 ლარი – კონსერვატიულ პარტიას ჰქონდა. პარტიის ანგარიშში შემომწირველების შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის. რესპუბლიკურმა პარტიამ 30 400 ლარი მიიღო. შემომწირველები მხოლოდ ფიზიკური პირები იყვნენ. თითოეული ფიზიკური პირისგან მიღებული თანხის ოდენობა 4 000 ლარს არ აღემატებოდა. იურიდიული პირებისგან შემოწირულებები 2010 წელს მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ანგარიშებზე განხორციელდა. ამ უკანასკნელს თანხა (40 000 ლარი) მხოლოდ ერთმა იურიდიულმა პირმა – შპს „შირნპოფერმა“ – შესწირა.

<sup>105</sup> ავტორის ინტერვიუები რესპუბლიკური პარტიის ფინანსურ მენეჯერთან, გივლა აგულაშვილთან, და ბლოკის „ალიანსი საქართველოსათვის“ გენერალურ მდივანთან, ზურაბ აბაშიძესთან.

<sup>106</sup> ავტორის ინტერვიუ „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლებთან.

<sup>107</sup> ავტორის ინტერვიუ პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენლებთან.

<sup>108</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისაგან“ 2010 წლის 17 ივნისის მიღებული №02/1913 წერილი.

<sup>109</sup> „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე–33-ე მუხლები.

<sup>110</sup> 2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების შემომწირველთა შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში: '2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშებზე განხორციელებული შემოწირულებები'.

<sup>111</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილები №N8-9 არჩევნების შემდგომი პერიოდის შემოწირულებები და შემომწირველთა რაოდენობა. <http://www.maestro.ge/?address=kviris5&id=3032&page=2>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ რამდენიმე ფიზიკური პირი გადაამოწმა. ორგანიზაციამ ის პირები შეარჩია, რომლებსაც 20-დან 30 ათასამდე ლარი ჰქონდათ პარტიებისთვის შეწირული. 12 გადამოწმებული მისამართიდან ხუთზე უშუალოდ შემომწირველი სახლში არ იმყოფებოდა, ოჯახის წევრებმა კი შემოწირულებებზე არაფერი იცოდნენ. რამდენიმე მათგანის განცხადებით, ოჯახს იმდენი შემოსავალი არ ჰქონდა, რომ რომელიმე პარტიისთვის ფული გადაერიცხა. ოთხ მისამართზე სახლში არავინ იმყოფებოდა. ორ შემთხვევაში შემომწირველები მითითებულ მისამართებზე რეგისტრირებული არ იყვნენ. მათი ვინაობა ვერც მეზობლებმა დაადასტურეს. ამრიგად, მმართველი პარტიისთვის თანხის გადარიცხვა გადამოწმებული შემომწირველი ფიზიკური პირებიდან მხოლოდ ერთმა დაადასტურა.

რამდენიმე ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებმაც გადაამოწმეს.<sup>112</sup> გადამოწმებულთაგან ორმა პარტიისთვის თანხის გადარიცხვის ფაქტი უარყო; ერთმა აღნიშნა, რომ შემოწირულება სხვისი თხოვნით განახორციელა; ერთ-ერთის მეუღლემ კი განაცხადა, რომ მისმა მეუღლემ სხვისი თანხა გადარიცხა სხვისივე თხოვნით. იხილეთ ცხრილი №23.

### ცხრილი №23. გადამოწმებული შემომწირველი ფიზიკური პირები

№	სახელი და გვარი	მისამართი	შეწირულობის მიმღები პარტია	თანხის ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
1	რომან ქოქოლაძე	თბილისი, დ. გურამიშვილის ქ. №15ა, ბ. 7	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	30 000.00	რ. ქოქოლაძე აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს, თუმცა ეს ბინა მისი საკუთრებაა.
2	ლელა სიმსივე	თბილისი, გურამიშვილის ქ. №15ა, ბ. 12	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	მისამართზე არავინ იმყოფებოდა.
3	თენგიზ გამყრელიძე	თბილისი, ვ. ბერიძის ქ. №3/3	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	თ. გამყრელიძე სახლში არ იმყოფებოდა. მისმა მეუღლემ განაცხადა, რომ თანხის გადარიცხვაზე არაფერი სმენია.
4	ზურაბ აბრამია	თბილისი, ბათუმის ქ. №5, ბ. 36	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	მისამართზე არავინ იმყოფებოდა. მეზობლებმა დაადასტურეს, რომ ზ. აბრამია ამ მისამართზე ცხოვრობს.
5	ვახტანგ არსენაძე	თბილისი, სანჯონა, კორპ. №25, ბ. 85	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	მისამართზე არავინ იმყოფებოდა.
6	ზურაბ მაზმიშვილი	თბილისი, გლდანის ხევი, კორპ. №10, ბ. 74	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	ზ. მაზმიშვილი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს. ეს ბინა მისი არც ფაქტობრივი საცხოვრებელია და არც საკუთრება. მოზინადრეების ინფორმაციით, მაზმიშვილს ამ მისამართზე არც მანამდე უცხოვრია.

<sup>112</sup> სტუდია GNS და ნანა ლეჟავა, „კვირის რეპორტაჟი“ (06/03/11): <http://www.maestro.ge/?address=kviris5&id=3032&page=2>

№	სახელი და გვარი	მისამართი	შემოწილების მიმღები პარტია	თანხის ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
7	პაატა ნოზაძე	თბილისი, ბუაჩიძის ქ. №18, ბ. 9	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	10 000.00	პ. ნოზაძე სახლში არ იმყოფებოდა. მისმა მეუღლემ განაცხადა, რომ შემოწირულებაზე არაფერი იცოდა, თუმცა არ გამოიციხა იმის შესაძლებლობა, რომ მის მეუღლეს თანხა სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში გადაეღებოდა.
8	ალექსანდრე ქიშმარეია	ბათუმი, აბაშიძის ქ. №116	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	20 000.00	ა. ქიშმარეიამ დაადასტურა, რომ შემოწირულება მან განახორციელა.
9	თამარ გეგაძე	თბილისი, გოგაშენის ქ. №21	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	თ. გეგაძე აღარ ცხვრობს აღნიშნულ მისამართზე (გათხოვდა). მისმა დედამ დაადასტურა ინფორმაცია პარტიის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ, თუმცა ამ თანხის ზუსტი ოდენობა არ იცოდა.
10	ი. მ. „ოთარ შამუგია“	თბილისი, ე. და ვ. ფიფიების ქ. (ვორონიჩის შეს.) №9	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	ო. შამუგიას აღნიშნულ მისამართზე ვერ მივაგენით. მეზობლადაც არავის არაფერი სმენოდა მასზე.
11	გია თარგამაძე	თბილისი, გლდანი, მე-2 მ/რ, კორპ. №24, ბ. 55	„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“	23 000.00	გ. თარგამაძე სახლში არ იმყოფებოდა. მისი ოჯახის წევრმა დაადასტურა, რომ თარგამაძე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი იყო, თუმცა თანხის გადარიცხვაზე არაფერი იცოდა.
12	ხათუნა სინარულიძე	თბილისი, სანზონა, კორპ. №1-3, ბ. 27	„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“	17 300.00	ხ. სინარულიძე სახლში არ იმყოფებოდა. მისმა მეუღლემ შემოწირულებაზე არაფერი იცოდა. ოჯახის შემოსავლის გათვალისწინებით, მან ამ ოდენობის თანხის პარტიის ანგარიშზე გადარიცხვის შესაძლებლობა გამოიციხა.

№	სახელი და გვარი	მისამართი	შეწირულობის მიმღები პარტია	თანხის ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
13	გიორგი ჭანვეცაძე	თბილისი, მუხიანი, 1-ლი მ/რ, კორპ. №4, ბ. 77	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	20 000.00	ნანა ლეჟავას სიუჟეტის მიხედვით, <sup>113</sup> გ. ჭანვეცაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ შემოწირულობების განხორციელება უარყო. ის პროფესიით მძღოლი იყო და ამ ოდენობის თანხის შეწირვის შესაძლებლობა არ ჰქონდა.
14	ლევან სოზიაშვილი	თბილისი, მუხიანის 1-ლი მ/რ, კორპ. №4, ბ. 7	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	20 000.00	ნანა ლეჟავას სიუჟეტის მიხედვით <sup>114</sup> , ლ. სოზიაშვილმა თანხის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე გადარიცხვა უარყო. მისი მეუღლის განცხადებით, ოჯახის წლიური ბიუჯეტი 20 000 ლარსაც არ შეადგენს.
15	ი. მ. „ლერი გელაძე“	მცხეთა, სოფ. საგურამო	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	5 000.00	ნანა ლეჟავას სიუჟეტის მიხედვით, <sup>115</sup> ლ. გელაძის მეუღლემ განაცხადა, რომ გელაძემ სხვისი თანხა სხვისივე თხოვნით შესწირა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“.
16	ზვიად მოხევიშვილი	მცხეთა, სოფ. მისაქციელი	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	30 000.00	ნანა ლეჟავას სიუჟეტის მიხედვით, <sup>116</sup> ზ. მოხევიშვილმა დაადასტურა თანხის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ გადარიცხვის ფაქტი.
17	დარიკო მხეიძე	ქუთაისი, ნიკვას ქ. №20, ბ. 33	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	25 000.00	ნანა ლეჟავას სიუჟეტის მიხედვით, <sup>117</sup> დ. მხეიძემ, საშენებლო ფირმა „კომფორტის“ <sup>118</sup> მთავარმა ბუღალტერმა, მმართველი პარტიის ანგარიშზე თანხა ამავე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელის და დირექტორის, ბესიკ ბრეგაძის, თხოვნით გადარიცხა. ეს უკანასკნელი ქუთაისის საკრებულოს წევრია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> იქვე.

<sup>115</sup> იქვე.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> იქვე.

<sup>118</sup> იურიდიული პირი „კომფორტი“ თითქმის ყველა არჩევნებზე ახორციელებდა შემოწირულობას მმართველი პარტიისთვის. 2010 წელს კომპანიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ 36 500 ლარი შესწირა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველი 388 იურიდიული კომპანიის შესახებ ინფორმაციის ანალიზით გაირკვა, რომ დაახლოებით 60 შემთხვევაში დამფუძნებლები მეორდებოდა. მაგალითად, კომპანიებმა „ავერსი რაციონალმა“ და „ავერსი ფარმამ“ მმართველ პარტიას მთლიანობაში 200 000 ლარი შესწირეს. მათ საერთო დამფუძნებლები ჰყავთ – პაატა და ნიკოლოზ კურტანიძეები. კომპანიებმა – „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“, „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტმა“, „თეგეტა ლოჯისტიკმა“, „თეგეტა მოტორსმა“ და „თეგეტა მოტორს ქუთაისმა“ – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ჯამში 500 000 ლარი შესწირეს. მათგან სამის დამფუძნებელი ერთი და იგივე პირია – თემურ კობოძე. ის დანარჩენი ორი კომპანიის დამფუძნებელთა შორისაც ფიგურირებს. ანალოგიური სიტუაციაა „კომპანია ჯაოკენის“ და „ჯაოკენი მოტორსის“ შემთხვევაში. ორივე კომპანია ჯემალ ჯაოშვილის, თამაზ კენჭაძის და იოსებ ჯაოშვილის მიერაა დაფუძნებული. მათ მმართველი პარტიის ანგარიშზე საერთო ჯამში 200 000 ლარი გადარიცხეს.

კანონის თანახმად, ერთ იურიდიულ პირს 100 000 ლარზე მეტი შემოწირულების განხორციელება ეკრძალება, თუმცა კანონი არ არეგულირებს იმ შემთხვევას, როცა რამდენიმე იურიდიულ პირს ერთი და იგივე მფლობელი ჰყავს და ის 100 000-ლარიან ზღვარს სხვადასხვა იურიდიული პირის გამოყენებით, კანონის დარღვევის გარეშე აჭარბებს.

### არაფულადი შემოწირულებები

წინა ორი არჩევნების მსგავსად, არაფულადი შემოწირულებები 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვისაც განხორციელდა. პოლიტიკური გაერთიანებისთვის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“ რამდენიმე იურიდიულმა პირმა შეისყიდა სარეკლამო დრო სხვადასხვა ტელეკომპანიაში.<sup>119</sup> ბლოკისთვის „ალიანსი საქართველოსათვის“ ფიზიკურ პირთა მიერ განხორციელებული შემოწირულებების თითქმის მეთხუთმედი არაფულადი იყო (ბანერის ბეჭდვა, საოფისე ფართობის ქირავნობა, ფლაერის ბეჭდვა, მაისურის ბეჭდვა, სარეკლამო მასალის გამოქვეყნება, ვებგვერდის დამზადება და სხვ.). სხვა ოპოზიციური პარტიებისთვის არაფულადი შემოწირულება ან ძალიან ცოტა განხორციელდა, ან საერთოდ არ ყოფილა.<sup>120</sup>

### საარჩევნო კამპანიის ფონდების ხარჯები

რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა თანხების დიდი ნაწილი რეკლამისთვის დახარჯა, კერძოდ, ბლოკმა „ალიანსი საქართველოსათვის“ – 28%, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 72%, ხოლო „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ – 61%. „ეროვნულმა საბჭომ“ რეკლამისთვის მთლიანი შემოსავლის მხოლოდ 3% გამოიყენა. პოლიტიკურ გაერთიანებას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კი რეკლამისთვის საარჩევნო კამპანიის ფონდიდან თანხა არ გამოუყვია, თუმცა არაფულადი შემოწირულების სახით მან 400 000 ლარის ღირებულების სარეკლამო დრო მიიღო – მთლიანი ხარჯების 192%.<sup>121</sup>

ოპოზიციური პარტიების დიდმა ნაწილმა ბეჭდური რეკლამისა და საავიჯიტივო მასალისთვის უფრო მეტი თანხა გამოიყენა, ვიდრე სატელევიზიო რეკლამისთვის. კერძოდ, ბეჭდური საავიჯიტივო მასალების დამზადებისთვის ბლოკმა „ალიანსი საქართველოსათვის“ 58%, ხოლო „ეროვნულმა საბჭომ“ – 57% დახარჯა.

წინა ორი არჩევნების მსგავსად, ამ არჩევნებზედაც ძალიან მცირე თანხა დაიხარჯა შრომის ანაზღაურებისთვის, თუმცა არც მივლინებებისთვის დახარჯულა დიდი ოდენობის თანხა. სხვადასხვაგვარია საარჩევნო სუბიექტების „სხვა ხარჯების“ პროპორცია. ასეთი ხარჯები ბლოკისთვის „ალიანსი საქართველოსათვის“ მთლიანი ხარჯების 1%-ია, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ – 8%, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“ – 10%, „ეროვნული საბჭოსთვის“ – 40% და პოლიტიკური გაერთიანებისთვის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 69%.<sup>122</sup>

<sup>119</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია ვებგვერდზე: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები – იურიდიული პირების შემოწირულებები)“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები – იურიდიული პირების შემოწირულებები)“.

<sup>120</sup> მეტი თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის ცხრილები №№10-11 ფულადი და არაფულადი ტიპის შემოწირულებები და შემომწირველთა რაოდენობა.


<sup>121</sup> პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მთლიანი ხარჯი 208 ათასი ლარი იყო. რადგან სარეკლამო ხარჯები მას თავად არ გაუწევია, ისინი არ არის შეტანილი ხარჯებში. თუ რეკლამის საფასური (400 000 ლარი) ხარჯებში გაერთიანდება, ის მთლიანი ხარჯის 66% იქნება.

<sup>122</sup> პოლიტიკურ გაერთიანებას „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშში ხარჯები ჰქონდა. კერძოდ, „სხვა საქონელი და მომსახურება“, რომელიც რამდენიმე ტიპის ხარჯს მოიცავს, ცალკე იყო აღრიცხული. თუმცა ვერც აუდიტმა და ვერც ფინანსური მონიტორინგის ჯგუფმა ეს ვერ შენიშნა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სათანადო თანხა „სხვა ხარჯებში“ მოათავსა, რამდენადაც შეუძლებელი იყო მისი რომელიმე სხვა ტიპის ხარჯისთვის მიუთვინება.


თუმცა ყველაზე მეტი ოდენობის „სხვა ხარჯები“ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გასწია – 1 მილიონ ლარზე მეტი; დანარჩენ შემთხვევებში თანხა 150 ათას ლარს არ აღემატებოდა. კერძოდ, ბლოკისთვის „ალიანსი საქართველოსათვის“ ეს იყო 2 020 ლარი, „ეროვნული საბჭოსთვის“ – 103 417 ლარი, პოლიტიკური გაერთიანებისთვის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 143 330 ლარი და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისთვის“ – 70 187 ლარი.

საერთო ჯამში, პროცენტულად პარტიებმა ხარჯები შემდეგნაირად გადაანაწილეს:


დიაგრამა №13. ბლოკის „ალიანსი საქართველოსათვის“ მიერ ხარჯების პროცენტული გადაანაწილება



დიაგრამა №14. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ხარჯების პროცენტული გადაანაწილება



დიაგრამა №15. ეროვნული საბჭოს მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება




■ სარეკლამო რგოლები

■ ბეჭდური სააგენტო მასალების დამზადება

■ სხვა ხარჯები

დიაგრამა №16. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება



■ შრომის ანაზღაურება

■ მივლინება


■ რეკლამა პრესაში და ბილბორდები

■ მასობრივი ღონისძიებები

■ ბეჭდური სააგენტო მასალების დამზადება

■ სხვა ხარჯები

**დიაგრამა №17. ბლოკის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიერ ხარჯების პროცენტული გადანაწილება**



**შემომწირველ იურიდიულ პირთა მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეეცადა გაეანალიზებინა, რამდენად არსებობდა კავშირი ბიზნესკომპანიების მიერ საარჩევნოდ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასა და სახელმწიფო შესყიდვებში მათ გამარჯვებას შორის. ამისთვის საჭირო იყო ინფორმაციის მოპოვება ყველა იმ იურიდიულ პირზე, რომლებმაც 2007-2010 წლებში პოლიტიკურ პარტიებს თანხები გადაურიცხეს და, იმავდროულად, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის გზით მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება.

სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებული კომპანიების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა, თუმცა სააგენტოს ეს ინფორმაცია სისტემატიზებული სახით, ერთიან მონაცემთა ბაზაში არ ჰქონდა<sup>123</sup>, ღედანში ინფორმაციის ანალიზი კი ძალიან დიდ დროს და ადამიანურ რესურსს მოითხოვდა.

ამიტომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 27 ყველაზე მსხვილ სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციას პირდაპირ მიმართა<sup>124</sup> და 2007–2010 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ იურიდიულ პირთა სიები სთხოვა. ინფორმაციის მიღება მხოლოდ 19 შემსყიდველი ორგანიზაციიდან მოხერხდა<sup>125</sup>. მათგან ზოგმა მხოლოდ ფასთა კოტირებისა და ტენდერების (და არა ერთ პირთან მოლაპარაკების) გზით გამარჯვებული კომპანიების შესახებ მოგვარა ინფორმაცია; დანარჩენმა რვა უწყებამ თხოვნა რეაგირების გარეშე დატოვა<sup>126</sup>.

ცხრაშეტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ათასობით გამარჯვებული იურიდიული პირის შესახებ შეიცავდა ინფორმაციას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მხოლოდ ისეთ

<sup>123</sup> ეს ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რამდენიმე ოთახში განთავსებულ ათასობით ყუთში იყო თავმოყრილი არასისტემატიზებული სახით.

<sup>124</sup> საქართველოში 3500-დან 4000-მდე სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი ორგანიზაციაა. ესენი არიან: სამინისტროები, მათი საქვეუწყებო დაწესებულებები, თეატრები, უნივერსიტეტები, საჯარო სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

<sup>125</sup> ეს ორგანიზაციები არიან: ქალაქ რუსთავის მერია; ქალაქ ფოთის მერია; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეინტეგრაციის საკითხებში; დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს სასაგარეო ურთიერთობების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო; საგარეო საქმეთა სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; ენერჯეტიკის სამინისტრო; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; საქართველოს კონტროლის პალატა; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

<sup>126</sup> ეს უწყებები არიან: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ქალაქ ქუთაისის მერია; ქალაქ თბილისის მერია; ქალაქ ბათუმის მერია.

შემომწირველთა შესახებ ინფორმაცია დაამუშავა, რომელთაც სახელმწიფო შესყიდვების გზით 50 000 ლარი ან მეტი მიიღეს და იმავე პერიოდში რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების ანგარიშზე გადარიცხეს თანხა. ასეთი 45 კომპანია გამოვლინდა. ერთის გარდა, ყველა იურიდიულმა პირმა მმართველი პარტიისთვის განახორციელა შემოწირულება. ეს გამონაკლისი სს „ტრანსმშენი“ იყო. 2008 წელს მან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 175 000 ლარი – დაწესებულ წლიურ მაქსიმუმზე მეტი – შესწირა,<sup>127</sup> 2010 წელს კი 50 000 ლარის შემოწირულება პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის ფონდში განახორციელა.<sup>128</sup> იხილეთ ცხრილი №24.<sup>129</sup>

**ცხრილი №24. იურიდიული პირები, რომლებმაც 2007–2010 წლებში სახელმწიფო შესყიდვების გზით მიიღეს შემოსავლები და, იმავედროულად, საარჩევნო შემოწირულებები განახორციელეს**

№	ფორმა	სახელწოდება	იურიდიული მისამართი	2007–2010 წლებში შემოწირული თანხის ოდენობა (ლარი)	2007–2010 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებული თანხის საერთო ოდენობა <sup>130</sup>
1	შპს	ავერსი ფარმა	თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №148	200 000.00	823 997.46
2	შპს	ალგორითმი	თბილისი, ნუცუბიძის 1-ლი მ/რ, კორპ. №3, ბ. 27	50 000.00	220 271.76
3	შპს	ალიანსი	თბილისი, ქავთარაძის ქ. №25, კორპ. №1, ბ. 81		
4	შპს	ალტა	თბილისი, საბურთალოს ქ. №35	65 000.00	356 696.88
5	შპს	არსი	თბილისი, აბულაძის ქ. №21	50 000.00	237 278.95
6	შპს	ახალი მთვარე	თბილისი, წერეთლის გამზირი №126	130 000.00	899 292.81
7	შპს	ბაბ-პლასტიკი	ბათუმი, გუდიაშვილის ქ. №28	25 000.00	199 100.00
8	შპს	ჯეოგრაფიკი	თბილისი, გამსახურდიას გამზირი №27	30 000.00	194 651.47
9	შპს	ჯეოკოლორი	საგარეჯოს რ-ნი, სოფ. პატარძელის	15 000.00	1 309 990.27
10	შპს	გზამშენი-4	თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი №247	70 000.00	2 482 463.49
11	სს	გზის მშენებელი 11	სამგორის რ-ნი, სადგური „ლილო“	70 000.00	3 283 588.89
12	სს	გლობალ ერთი	თბილისი, კედიას ქ. №4	40 000.00	868 539.72
13	შპს	დავითი	თბილისი, ასათიანის ქ. №40	10 000.00	450 805.70
14	შპს	ესაბი	თბილისი, შავთელის ქ. №5\7	20 000.00	2 334 091.13
15	შპს	ვანტი	გარდაბნის გზატკეცილი №42	20 000.00	624 797.00
16	შპს	ველი	ბათუმი, ყაზბეგის ქ. №15	40 000.00	222 044.00
17	შპს	თბილი სახლი	თბილისი, კოსტავას ქ. №75	100 000.00	800 446.73
18	სს	თბილისის მონოლითმშენი	თბილისი, წერეთლის გამზირი №57	10 000.00	360 860.88
19	შპს	თეგეტა მოტორსი	თბილისი, დიღმის მასივი, მე-6 კვ., კორპ. №22ბ	70 000.00	384 249.00
20	შპს	იუ-ჯი-თი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №26	5 000.00	9 750 751.59
21	შპს	მშენსერვისი	თბილისი, ფოთის ქ. №45	30 000.00	472 776.00
22	შპს	ნიუენერჯი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74	30 000.00	3 182 000.00

<sup>127</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ სქოლიო 49.

<sup>128</sup> სს „ტრანსმშენი“ არის სამშენებლო კომპანია, რომელიც აშუაებს სარფის საბაჟოს, რამდენიმე რეგიონულ სკოლას და ფოთის სარკინიგზო ხაზს აშენებს. ბოლო პერიოდში მან განახორციელა შემდეგი პროექტები: თბილისის აეროპორტის რკინიგზის სადგური, თბილისის ცენტრალური რკინიგზის სადგური, თბილისის ლოკომოტივის სტადიონი, ბორჯომის რკინიგზის სადგური, ურეკის რკინიგზის სადგური და სხვ.

<sup>129</sup> წლების მიხედვით გაშლილი, დეტალური ცხრილი იხილეთ ვებგვერდზე: „შემომწირველი იურიდიული პირები, რომლებმაც გაიმარჯვეს სახელმწიფო შესყიდვებში“.

<sup>130</sup> რამდენიმე შემთხვევაში შესყიდვებიდან მიღებული თანხის საერთო ოდენობა მოიცავდა აშშ დოლარში მიღებულ თანხებსაც. შესაბამისად, ეს თანხები ლარში გადაყვანილია წლიური საშუალო კურსის მიხედვით (2008 წელი: 1 აშშ დოლარი – 1.49 ლარი, 2009 წელი: 1 აშშ დოლარი – 1.67 ლარი, 2010 წელი 1 აშშ დოლარი – 1.79 ლარი).

№	ფორმა	სახელწოდება	იურიდიული მისამართი	2007–2010 წლებში შემოწირული თანხის ოდენობა (ლარი)	2007–2010 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებული თანხის საერთო ოდენობა
23	შპს	ნოვა	თბილისი, დიღმის მასივი, მე-2 კვ., კორპ. №9ა	70 000.00	1 328 642.00
24	შპს	ორნამენტი	თბილისი, ფიფიების ქ. №12	40 000.00	387 224.61
25	სს	პოპული	თბილისი, ბ. ხმელნცკის №48, კორპ. №5	100 000.00	99 000.00
26	შპს	პსპ-ფარმა	დმანისის რ-ნი, ცურტაველის ქ. №54	200 000.00	141 044.49
27	სს	სადაზღვევო კომპანია „აღდაგი ბისიაი“	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №62	75 000.00	122 789.37
28	შპს	სამშენებლო ტრესტი №2	თბილისი, აგლაძის ქ. №26	40 000.00	857 702.00
29	შპს	სარკე კონსალტინგი	თბილისი, კოსტავას ქ. №54	114 837.00	745 906.83
30	სს	საქენერგო-რემონტი	ლანჩხუთის რ-ნი, სოფ. შუხუთი	35 000.00	3 980 291.00
31	სს	სახალხო ბანკი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74	37 000.00	510 665.00
32	შპს	სერვისკომი	თბილისი, გამსახურდიას გამზირი №24	100 000.00	82 839.00
33	შპს	სსგ იბერიე	თბილისი, პასტერის ქ. №1ა	35 000.00	95 437.14
34	შპს	ტ.ტ.	თბილისი, ქინძმარაულის ქ. №13ა	15 000.00	1 232 643.76
35	შპს	ტოიოტა ცენტრი თბილისი	თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-20 კმ	100 000.00	2 515 426.26
36	სს	ტრანსშენი <sup>131</sup>	თბილისი, დოლიძის ქ. №2	225 000.00	60 081.55
37	სს	უნივერსალი	თბილისი, ერისთავის ქ. №2	10 000.00	426 496.00
38	სს	უნივერსალ-სერვისი	თბილისი, აგლაძის ქ. №37	8 000.00	203 000.00
39	შპს	ფერი	თბილისი, ჩაჩავას ქ. №8	40 000.00	847 815.00
40	შპს	ჯეოსელი	თბილისი, გოთუას ქ. №3	100 000.00	1 459 656.43
41	შპს	ჯესკო ჯგუფი	თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50	10 000.00	666 170.37
42	სს	ჯი და ჯი	თბილისი, კრილოვის ქ. №10	30 000.00	138 748.00
43	შპს	ჯითიგრუბ	თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. №48	30 000.00	402 690.00
44	შპს	ჯიბისი	თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №26	175 000.00	61 847.65
45	სს	ჰიუნდაი ავტო საქართველო	თბილისი, გრიბოედოვის ქ. №13	10 000.00	1 336 857.00

## დასკვნა

საერთო ჯამში, 2008 და 2010 წლების საარჩევნო კამპანიების დაფინანსების კუთხით ასეთი სურათი იკვეთება:

- მმართველი პარტიის დაფინანსება მინიმუმ 7-ჯერ<sup>132</sup> და მაქსიმუმ 26-ჯერ აღემატება ერთად აღებული ყველა სხვა საარჩევნო სუბიექტის დაფინანსებას;
- მმართველი პარტია თანხების უდიდეს ნაწილს სატელევიზიო რეკლამისთვის ხარჯავს, ხოლო ოპოზიციური პარტიები – ბეჭდური რეკლამისთვის, პარტიის წევრების/აქტივისტების შრომის ანაზღაურებისა და მივლინებებისთვის;
- ოპოზიციურ პარტიებს იურიდიული პირები იშვიათად ან საერთოდ არ აფინანსებენ, მმართველი პარტიის დამფინანსებელთა უმრავლესობა კი იურიდიული პირია;

<sup>131</sup> 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე სს „ტრანსშენი“ 50 000 ლარი შესწირა პოლიტიკურ გაერთიანებას „მრეწველობა დაარჩენს საქართველოს“. ყველა სხვა შემთხვევაში შემოწირულობები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ განხორციელდა.

<sup>132</sup> მმართველი პარტიის დაფინანსება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე 25.8-ჯერ მეტი იყო (კანონით გათვალისწინებული უფასო პოლიტიკური რეკლამის გამოკლებით, რომელიც პარტიების მაშინდელ ანგარიშებში ასახული იყო), 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე – 7.9-ჯერ მეტი, ხოლო 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – 7.3-ჯერ მეტი.

- პარტიები თავიანთი პარტიული ფონდებიდან რიცხავენ დიდი ოდენობის თანხებს საარჩევნო კამპანიების ფონდებში და იმის გამო, რომ პარტიული ფონდების შესახებ ინფორმაცია საჯარო მხოლოდ მომდევნო წლის დასაწყისში ხდება, რთულდება საარჩევნო კამპანიის ფონდების სრულყოფილი გაკონტროლება საარჩევნო პერიოდში.

ზოგადად, საქართველოში საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი კანონმდებლობით უფრო კარგად რეგულირდება, ვიდრე პოლიტიკურ გაერთიანებათა წლიური დაფინანსების საკითხი. კერძოდ, განსაზღვრულია საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარსადგენად აუცილებელი ხარჯთაღრიცხვის ფორმა; ასევე შექმნილია ფინანსური ანგარიშგების მონიტორინგზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც ცესკოში წარდგენილი ანგარიშების რევიზიას ახორციელებს. მიუხედავად ამისა, არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა არაერთ ხარვეზსა და ნაკლოვანებას შეიცავს, კერძოდ:

- არჩევნების წინა პერიოდში პარტიის მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა (თვეში ერთხელ) არასაკმარისია და ამომრჩეველს არჩევნის გაკეთებამდე არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია პარტიის მიერ მიღებულ შემოსავლებსა და გაწეულ ხარჯებზე;
- კანონმდებლობა საარჩევნო კამპანიის ფონდში პოლიტიკური გაერთიანებისგან არალიმიტირებულად დიდი ოდენობის შემოწირულებების მიღების საშუალებას იძლევა. იმის გამო, რომ პოლიტიკურ გაერთიანებას კანონი არ ავალდებულებს, ამ ფონდში გადარიცხული თანხების წარმომავლობა საჯარო გახადოს არჩევნების მსვლელობისას (თუ ეს პერიოდი არ ემთხვევა მომდევნო წლის იანვრის ბოლოს, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია საჯარო ხდება), ამომრჩეველს არჩევანის გაკეთებამდე არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია პოლიტიკური გაერთიანების მიერ გაწეული ხარჯების წარმომავლობასა და კანონიერებაზე;
- კანონმდებლობით განსაზღვრული საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარსადგენად აუცილებელი ხარჯთაღრიცხვის ფორმა ძალიან მწირია და არ მოიცავს ყველა ტიპის ხარჯს, რის გამოც ხარჯების დიდი ნაწილი „სხვა ხარჯების“ გრაფაშია მოქცეული. ამასთანავე, დეტალური რეგულაციების არარსებობის გამო პარტიები ხშირად არასწორად ავსებენ დადგენილ ფორმას და ბევრ შეცდომასაც უშვებენ;
- კანონმდებლობით იურიდიული პირისათვის დადგენილია შემოწირულების ზედა ზღვარი – 100 000 ლარი. მიუხედავად ამისა, კანონის არსებული რედაქცია იძლევა საშუალებას, რომ ერთმა და იმავე იურიდიულმა პირებმა შვილობილი კომპანიების საშუალებით ან მეწილეებმა თავიანთ საკუთრებაში არსებული სხვადასხვა იურიდიული პირის მეშვეობით გაცილებით მეტი თანხა შესწირონ ერთ პარტიას;
- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, პარტიის მიერ თითოეული იურიდიული პირისაგან მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების მოცულობა წელიწადში 100 000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. ეს „შებლდევები გრცელდება ყველა სახის შემოწირულებაზე, მათ შორის, პარტიის მიზნებისათვის და მისი სახელით გაწეულ მომსახურებაზე“. ამის მიუხედავად, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საწარმოს მიერ ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო კამპანიის ფონდში და თავად პარტიისთვის გადარიცხული შემოწირულებების ოდენობა 100 000 ლარს აღემატება.<sup>133</sup> იურიდიული პირი ცალ-ცალკე – პარტიის ანგარიშზე და პარტიის მიერ დარეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის კამპანიის ფონდში – ახორციელებს შემოწირულებებს.
- პრობლემა ისიც, რომ ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი დროებით იქმნება ყოველი არჩევნებისთვის და 3-4 თვეს ფუნქციონირებს. ამ ჯგუფის ფუნქციები და მის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხები ძალიან ბუნდოვანია. ჯგუფის ადამიანური და ფინანსური რესურსები არასაკმარისია ამომწურავი მონიტორინგის განსახორციელებლად. ამასთანავე, პოლიტიკური გაერთიანებები არ არიან ვალდებული, ჯგუფს წარუდგინონ საბუღალტრო დოკუმენტაცია (გადარიცხვების ამონაწერები და სხვ.); ამდენად, სრულყოფილი მონიტორინგი პრაქტიკულად არ ხორციელდება.
- აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, ერთი მხრივ, უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი, დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც პარტიათა დაფინანსების სრულფასოვან მონიტორინგს განახორციელებს, და, მეორე მხრივ, არჩევნების წინა პერიოდშივე უნდა გადაწყდეს ანგარიშგების პერიოდულობისა და მიღებული შემოწირულებების გამჭვირვალობის საკითხები. ამასთანავე, კანონით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს შემოწირულებების განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციები.

<sup>133</sup> იხ. სქოლიო 49.

## საარჩევნო სიების მონიტორინგი

საარჩევნო სიების დახვეწაზე მუშაობა ყოველი არჩევნების წინ ხდება აქტუალური. ამას მოსდევს სიების გადამოწმებისთვის მნიშვნელოვანი ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მობილიზება როგორც სახელმწიფო, ისე დონორთა მხრიდანაც. გადამოწმების შემდგომ კი ყოველთვის ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე თუ წარუმატებლობებზე იწყება საუბარი. ყოველი მომდევნო არჩევნების წინ სიების სრულყოფა ისევ პრიორიტეტი ხდება და არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კვლავ საკმაოდ მოცულობითი ღონისძიებები ხორციელდება.

2010 წლის მაისის არჩევნებისთვის სიების გადამოწმებისთვის ჩვეულ პროცედურებთან ერთად დამატებით საკმაოდ ინოვაციური ღონისძიება განხორციელდა. კერძოდ, 2009 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შეტანილი დამატებით პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის შესაძლებლობა მიეცათ.<sup>134</sup> ამ მიზნით პარტიებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,2 მლნ ლარი გამოეყოთ. ეს თანხა თანაბრად განაწილდა სახელმწიფო დაფინანსების მიმღებ 12 პარტიაზე, რომელთაც აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. მოგვიანებით ერთ-ერთმა მათგანმა – პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ – მონიტორინგის განხორციელებაზე უარი განაცხადა და თანხა დააბრუნა. შესაბამისად, მონიტორინგი განხორციელდა ქვემოთ ჩამოთვლილმა 11-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ 2010 წლის 5 თებერვლიდან 10 აპრილამდე:

1. პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“;
2. პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
3. პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება“;
4. საქართველოს კონსერვატიული პარტია;
5. პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“;
6. საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
7. პოლიტიკური პარტია „საქართველოს გზა“;
8. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“;
9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“;
10. პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“;
11. პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვის მონიტორინგისთვის დეტალური პროცედურები დადგენილი არ ყოფილა. კანონით არ იყო განსაზღვრული არც თავად

<sup>134</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (2001 წლის 2 აგვისტო, №1047-რს; გამოქვეყნებულია: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001, მუხ. 107), მუხლი 129<sup>14</sup>

სიების მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები და არც ტერიტორია, რომელიც მას უნდა მოეცვა. პარტიებმა დამოუკიდებლად განსაზღვრეს მონიტორინგის მეთოდოლოგია და გეოგრაფია. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ინდივიდუალური დარღვევებისა და საბოლოო ანგარიშისათვის შეიმუშავა არასავალდებულო ფორმები, რომლებიც რამდენიმე საკვანძო შეკითხვას შეიცავდა. პარტიებს შეეძლოთ ამ ფორმების მიხედვით წარედგინათ ცესკოსთვის მონიტორინგის შედეგები. არასავალდებულოობის მიუხედავად, აღნიშნული ფორმები პარტიების უმრავლესობამ გამოიყენა.

საყურადღებოა, რომ არც კანონი და არც ცესკოს მიერ შემუშავებული ფორმები არ ითვალისწინებს ფინანსურ ანგარიშგებას, თუმცა 11-დან 7-მა პარტიამ წარუდგინა ცესკოს ფინანსური ანგარიში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ზემოაღნიშნული თანხების ხარჯვის მონიტორინგის მიზნით შემდეგი ღონისძიებები განხორციელა:

1. პარტიებისგან გამოითხოვა მათ მიერ განხორციელებული სიების მონიტორინგის საბოლოო ფინანსური ანგარიშები, რათა გადაემოწმებინა, როგორ დახარჯეს მათ მიღებული თანხები;
2. პარტიებისგან<sup>135</sup> გამოითხოვა ინფორმაცია სიების მონიტორინგის განხორციელებისას გამოყენებული მეთოდოლოგიის შესახებ; შეხვდა მათ წარმომადგენლებს, რათა გაერკვია, ჰქონდათ თუ არა პარტიებს სამოქმედო და თანხების ხარჯვის გეგმები;
3. შეაჯამა ინფორმაცია პარტიების მიერ სიების მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი უზუსტობებისა და ხარვეზების შესახებ; შეაფასა სიების გადამოწმების პროცესში ცესკოს როლი და პარტიების მიერ შესრულებული სამუშაოს კონკრეტული შედეგი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ასევე გამოიყენა ცესკოსგან მიღებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

### მონიტორინგისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის ფინანსური ანგარიშები

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1,2 მლნ ლარი გადაეცა 12 პარტიას, რომელთაც, კანონის შესაბამისად, მონიტორინგისთვის თანხების მიღება შეეძლოთ, თუმცა შემდეგ პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მონიტორინგის განხორციელებაზე უარი განაცხადა და თანხა დააბრუნა. ეს თანხა – 100 ათასი ლარი – დარჩენილ 11 პარტიაზე უნდა განაწილებულიყო, მაგრამ, ვინაიდან ორმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ჩვენ თვითონ“ – დამატებით დაფინანსებაზე უარი თქვა, იგი 9 პარტიაზე განაწილდა.

პარტიებმა მიღებული თანხები, გამოყენებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, სხვადასხვაგვარად გადაანაწილეს. ზოგიერთმა პარტიამ მათი უდიდესი ნაწილი შრომის ანაზღაურებაზე (და, აქედან გამომდინარე, საშემოსავლო გადასახადზე) დახარჯა, ზოგიერთმა კი მივლინების ხარჯების ანაზღაურება და საქონლისა და მომსახურების ხარჯის გაწევა არჩია. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ სიების კარდაკარ გადამოწმების მეთოდის გამოყენებისას პარტიას მრავალი აქტივისტი ჰყავდა და მათ შესრულებული სამუშაო მივლინების ხარჯების სახით აუნაზღაურა, რის შედეგადაც საშემოსავლო გადასახადის თანხები დაზოგა.<sup>136</sup> კაპიტალური ხარჯი (ძირითადი საშუალებების შეძენა) იმ პარტიებმა გასწიეს, რომელთაც კომპიუტერული პროგრამა გამოიყენეს ან მონაცემთა ანალიზი განხორციელეს, რისთვისაც შესაბამისი ტექნიკისა და სათანადო პროგრამის შეძენა იყო საჭირო. აღსანიშნავია, რომ „სხვადასხვა ხარჯი“ ძირითადად 2–5%-ია (მხოლოდ ერთ პარტიას აქვს 8%-ზე ოდნავ მეტი), რაც გამჭვირვალობის მხრივ მისასალმებელია, რადგან ეს გაურკვეველი ხარჯია. *აქვე იხილეთ ცხრილი №25 და დიაგრამები №18-24.*<sup>137</sup>

<sup>135</sup> მხოლოდ ის პარტიები შეირჩა, რომლებმაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მანდატები მოიპოვეს.

<sup>136</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში გაცემული სამივლინებო თანხა და საქონელსა და მომსახურებაზე დახარჯული თანხა არ იბეგრება.


<sup>137</sup> მეტი თვალსაჩინოებისათვის იხილეთ დანართის დიაგრამა №25 პარტიების მიერ წარდგენილი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ანგარიში.

**ცხრილი №25. პარტიების მიერ წარდგენილი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების  
ხარჯვის ანგარიშები**

პოლიტიკური გაერთიანება <sup>138</sup>	შრომის ანაზღაურება და გადასახადები ბიუჯეტში <sup>139</sup>	ანაზღაურებული მივლინების ხარჯები	საქონელი და მომსახურება <sup>140</sup>	სხვადასხვა ხარჯი	კაპიტალური ხარჯი <sup>141</sup>	სულ	ნაშთი ხარჯები
ახალი მემარჯვენეები	13 000.00	34 740.00	51 594.00	3 334.00	8 358.00	111 026.00	85.00
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	92 110.00	0.00	3 199.00	4 691.00	0.00	100 000.00	0.00
რესპუბლიკური პარტია	18 355.00	24 270.00	68 277.00	415.00	0.00	111 317.00	-206.00
საქართველოს გზა	63 364.00	19 250.00	14 584.00	4 641.00	9 265.00	111 104.00	7.00
ქართული დასი	0.00	81 630.00	7 593.00	8 652.00	13 154.00	111 029.00	82.00
ქრისტიან- დემოკრატიული მოძრაობა	36 088.00	0.00	50 736.00	2 157.00	22 110.00	111 091.00	20.00
ჩვენ თვითონ	35 250.00	0.00	64 556.00	187.00	0.00	99 993.00	7.00

\* წყარო: ცესკოსგან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

**დიაგრამა №18: ახალი მემარჯვენეების მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები.**



\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია


<sup>138</sup> ანგარიშები არ წარუდგენიათ პოლიტიკურ გაერთიანებებს: „თავისუფლება“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ხალხის პარტია“.

<sup>139</sup> „შრომის ანაზღაურება და გადასახადები ბიუჯეტში“ მოიცავს შემდეგ ხარჯებს: გადახდილი შრომის ანაზღაურება; ბიუჯეტში გადახდილი შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული გადასახადები; გადახდილი დროებით დაქირავებულ პირთა ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული გადასახადი.

<sup>140</sup> „საქონელი და მომსახურება“ მოიცავს შემდეგ ხარჯებს: საკომუნიაციო ხარჯები; კომუნალური ხარჯები; საწვავის ხარჯი; სატრანსპორტო ხარჯი; ბეჭდვის ხარჯი; ოფისის ქირა; საოფისე ნივთები.


<sup>141</sup> „კაპიტალური ხარჯი“ ამ შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯს.

დიაგრამა №19: ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები




\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

დიაგრამა №20: რესპუბლიკური პარტიის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები




\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

დიაგრამა №21: საქართველოს გზის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები




\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

დიაგრამა №22: ქართული დასის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები




\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

დიაგრამა №23: ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები



\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

დიაგრამა №24: „ჩვენ თვითონის“ მიერ ხარჯების გადანაწილების მაჩვენებლები



\* წყარო: ცესკოდან და პოლიტიკური პარტიებიდან მიღებული ინფორმაცია

შეხვედრებზე ყველა პარტია<sup>142</sup> აცხადებდა, რომ გამოყოფილი თანხა საკმარისი არ იყო ამომრჩეველთა სიების სრულყოფილად შემოწმებისთვის.

საყურადღებოა, რომ კანონით პოლიტიკურ პარტიებს არ მოეთხოვებოდათ მონიტორინგის ფინანსური ანგარიშების წარდგენა. ვალდებულების არარსებობის მიუხედავად, 11 პარტიიდან 7-მა მონიტორინგის დასრულების შემდეგ მაინც წარუდგინა ცესკოს ფინანსური ანგარიში. რამდენიმე პარტიამ ანგარიში მოთხოვნის საფუძველზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსაც“ მიაწოდა.<sup>143</sup> ვინაიდან არ არსებობდა სპეციალური ფორმა ანგარიშის წარსადგენად, ზოგიერთმა პარტიამ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტული ცხრილები გამოიყენა, ზოგიერთმა კი – ფინანსური ანგარიშის ის ფორმა, რომლითაც პარტიები ყოველწლიურ ანგარიშებს წარადგენენ. აქედან გამომდინარე, ანგარიშები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. ზოგ პარტიას ხარჯები დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი, ზოგის ხარჯები კი სხვადასხვა კლასიფიკაციის მიხედვით იყო გაერთიანებული და, შესაბამისად, ზოგადად წარმოდგენილი.<sup>144</sup>

იმ ოთხი პარტიიდან, რომლებმაც ფინანსური ანგარიში მონიტორინგის დასრულებისთანავე არ წარადგინეს, ერთმა – „ხალხის პარტიამ“ ხარჯები დეტალურად ასახა პარტიის 2010 წლის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშში<sup>145</sup>. ყველა სხვა პარტიამ კი წლიურ ანგარიშში მხოლოდ მთლიანი თანხა მიუთითა, როგორც ჯამური მიზნობრივი დაფინანსება და ჯამური მიზნობრივი ხარჯი, ზოგიერთმა კი საერთოდ არ გამოიყენა სხვა ხარჯებისაგან.

მონიტორინგის შედეგების აღრიცხვისთვის ერთიანი, სავალდებულო ფორმის არარსებობამ და ფინანსური ანგარიშის წარდგენის არასავალდებულოობამ, ერთი მხრივ, მონიტორინგში მონაწილე ბევრი პარტიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვა უკონტროლო და გაუმჭვირვალე გახადა და, მეორე მხრივ, ზოგიერთი პარტიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური და პროგრამული ანგარიშების ანალიზი გაართულა, რადგან ძნელი იყო მათი ერთ ფორმატში მოქცევა და ერთმანეთთან შედარება.

### მონიტორინგის გეოგრაფია და მეთოდოლოგია

მონიტორინგისათვის ცესკომ პარტიებს გადასცა ამომრჩეველთა ერთიანი სია 2010 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით. სიის საჯარო ვერსიას<sup>146</sup> დამატებული ჰქონდა ორი მონაცემი: პირადობის მოწმობის გაცემის თარიღი და საარჩევნო უბნები 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების მდგომარეობით.

პარტიებმა სიების მონიტორინგი ძირითადად კარდაკარ შემოვლით განახორციელეს. ზოგიერთმა პარტიამ ასევე გამოიყენა ცხელი ხაზი, მონაცემთა ანალიზი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ან ასეთი პროგრამის გამოუყენებლად (დუბლირებული მონაცემების აღმოჩენის მიზნით) და მონაცემთა ანალიზი შედარების გზით (შესადარებლად გამოყენებულ იქნა 2008 წლის საარჩევნო სიები და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები). ზოგიერთ პარტიას მონიტორინგის მეთოდოლოგია საერთოდ არ მიუთითებია ანგარიშში (თუმცა ეს კითხვა იყო ცესკოს მიერ შეთავაზებულ ფორმაში).<sup>147</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარტიების უმრავლესობამ სიების კარდაკარ გადამოწმებისთვის აქტივისტები გამოიყენა. ზოგიერთმა პარტიამ გამოიყენა თბილისსა და რეგიონებში გამოყენებულ აქტივისტთა რაოდენობის ამსახველი რიცხვები, ზოგიერთს კი ეს ინფორმაცია ანგარიშში არ მიუთითებია.<sup>148</sup>

<sup>142</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ამ საკითხზე ესაუბრა პოლიტიკურ გაერთიანებებს: „ახალი მემარჯვენეები“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, „საქართველოს გზა“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

<sup>143</sup> ორგანიზაციას ანგარიშები მიაწოდეს პოლიტიკურმა გაერთიანებებმა: „ჩვენ თვითონ“, „საქართველოს გზა“, „ახალი მემარჯვენეები“, საქართველოს რესპუბლიკური პარტია.

<sup>144</sup> ხარჯების ამსახველი დეტალური ცხრილი იხილეთ ვებგვერდზე. „2010 საარჩევნო სიების მონიტორინგი საერთო მონაცემები – ხარჯთაღრიცხვა“.

<sup>145</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდზე „ხალხის პარტია (2010 წლიური – შემოსავალ-გასავლები)“

<sup>146</sup> ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ვერსია შეიცავს შემდეგ მონაცემებს: გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირისათვის – აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (საქართველოს ორგანული კანონის 'საქართველოს საარჩევნო კოდექსის' მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი).

<sup>147</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართის ცხრილი №14 პოლიტიკური გაერთიანებების მიერ შერჩეული მონიტორინგის მეთოდოლოგია.

<sup>148</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართის ცხრილი №15 პარტიების მიერ მონიტორინგის პროცესისათვის გამოყენებული აქტივისტების რაოდენობა.

რაც შეეხება მონიტორინგის გეოგრაფიას, აღსანიშნავია, რომ პარტიების უმეტესობამ სივრცის მონიტორინგი განახორციელა ძირითადად თბილისში (პარტიების განმარტებით, ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, რესურსების მობილიზების შესაძლებლობით და, მეორე მხრივ, ქალაქ თბილისის მერის არჩევნების აქცენტირებით) და იშვიათად – რეგიონებშიც. ზოგიერთმა მათგანმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რამდენიმე უბანი მოიცვა და ამ გზით თითქმის მთელი საქართველო დაფარა.<sup>149</sup>

მონიტორინგის დროს ყველაზე დიდი ტერიტორია „ახალმა მემარჯვენეებმა“, საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, „ქართულმა დასმა“ და საქართველოს კონსერვატიულმა პარტიამ მოიცვეს. ყველაზე მეტი (ნახევარ მილიონზე მეტი) ამომრჩეველი „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადაამოწმა.

მთლიანობაში, პოლიტიკურ პარტიებს შორის არ მომხდარა ურთიერთკოორდინაცია ფუნქციებისა და გეოგრაფიული არეალების გადანაწილების მიზნით. მართალია, წინასაარჩევნოდ ცესკოს და არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით პარტიათა პერიოდული შეხვედრები იმართებოდა, სადაც გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა ხდებოდა, მაგრამ ეს შეხვედრები არ ითვალისწინებდა სამუშაოს დაგეგმვისა და მიმდინარეობისას შეთანხმებულად მუშაობას. პოლიტიკურ პარტიებს არც მეთოდოლოგიის შერჩევაზე დაუხარჯავთ დიდი დრო და თითოეულმა პარტიამ (ან რამდენიმემ ერთად) დამოუკიდებლად, თავისი შეხედულებისამებრ შეიმუშავა მეთოდოლოგია.

### მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევები და მათზე ცესკოს რეაგირება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცესკოს ინდივიდუალური დარღვევებისათვის არასავალდებულო ფორმები<sup>150</sup> ჰქონდა შემუშავებული. ისინი შეიცავდა შემდეგ საკითხებს: მონიტორინგის გეოგრაფია, გამოყენებული აქტივისტების რაოდენობა, აღმოჩენილი დარღვევების საერთო რაოდენობა, რამდენიმე ტიპის დარღვევა (მაგალითად, გარდაცვლილი ამომრჩევლების საერთო რაოდენობა, გამოტოვებული ამომრჩევლების საერთო რაოდენობა და სხვა). პარტიებისთვის შეთავაზებულ ფორმებში ასევე იყო შეკითხვა, თუ რამდენი ამომრჩევლის მონაცემი გადაამოწმეს მათ. ეს ინფორმაცია მხოლოდ პარტიათა გარკვეულ ნაწილს ჰქონდა მითითებული.<sup>151</sup>

შესრულებული სამუშაოს ანგარიში პარტიებმა ცესკოს სხვადასხვა სახით გადასცეს – ელექტრონულად (MS Access ან MS Excel ფორმატით) ან ნაბეჭდის თუ ხელნაწერის სახით (თუმცა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ სივრცის მონიტორინგის შედეგების როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით წარდგენას ითხოვს),<sup>152</sup> ანდა პერიოდული ანგარიშების/წერილების სახით. ელექტრონულად მიწოდებული მონაცემების ანალიზი ცესკომ გაცილებით ადრე დაასრულა და საზოგადოებას 2010 წლის აპრილშივე გააცნო, საბოლოო ანგარიში კი 25 მაისს წარადგინა.

ცესკოსთვის გადაცემული ანგარიშებისა და წერილების მიხედვით, პარტიებმა წარადგინეს ინფორმაცია ამომრჩეველთა სიაში არსებული შემდეგი დარღვევების შესახებ:

1. ამომრჩეველი დუბლირებულია;
2. ამომრჩეველი გარდაცვლილია;
3. ამომრჩეველი გამოტოვებულია სიაში;
4. ამომრჩეველი იმყოფება საზღვარგარეთ (და არ იყო მითითებული პარტიის ხელთ არსებულ სიაში);
5. ამომრჩეველი პატიმრობაშია (და არ იყო მითითებული პარტიის ხელთ არსებულ სიაში);
6. ამომრჩეველი სამხედრო/გასამხედროებულ სამსახურშია (და არ იყო მითითებული პარტიის ხელთ არსებულ სიაში);
7. ამომრჩეველი მიწერილია;

<sup>149</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართის ცხრილები №16 და №17 პარტიების მიერ განხორციელებული მონიტორინგის გეოგრაფია.

<sup>150</sup> [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=5407](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=5407)

<sup>151</sup> დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართის ცხრილი №18 პარტიების მიერ გადაამოწმებული ამომრჩევლების რაოდენობა.

<sup>152</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 129<sup>14</sup> მუხლის მე-3 პუნქტი

8. ამომრჩეველი სხვა მისამართზე ცხოვრობს;
9. სიაში ტექნიკური უზუსტობაა (მაგ., სახელში ან გვარში ასოა გამოტოვებული);
10. ამომრჩევლის მისამართი არაზუსტია (მაგალითად, ციფრები ან ასოებია გამოტოვებული);
11. ერთ მისამართზე მრავალი ამომრჩეველია;
12. ამომრჩეველი უმისამართოა.<sup>153</sup>

ანგარიშების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა პარტიების მიერ აღმოჩენილი ხარვეზების შეჯამება. ზოგ შემთხვევაში პარტიებმა გამოიწვეს თბილისსა და რეგიონებში აღმოჩენილი ხარვეზები, ზოგჯერ კი ანგარიშებში მხოლოდ ჯამური რიცხვები აისახა.<sup>154</sup>

პარტიების მიერ აღმოჩენილი ხარვეზების საერთო რაოდენობა მათ მიერ გადამოწმებული ამომრჩევლების რაოდენობის 6-7%-ია. დარღვევების დიდი ნაწილი თბილისზე მოდის. ეს ძირითადად იმითაა განპირობებული, რომ პარტიებმა რეგიონებში გაცილებით ნაკლები ამომრჩეველი გადაამოწმეს. *აქვე იხილეთ ცხრილი №25.*

**ცხრილი №25. დარღვევების პროცენტული მაჩვენებლები  
გადამოწმებული ამომრჩევლების რაოდენობასთან მიმართებით**

პოლიტიკური გაერთიანება	% თბილისის გარეთ	% თბილისში	% ჯამში
ახალი მემარჯვენეები	3.59%	12.59%	7.79%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	არ გადაამოწმებია	7.16%	7.16%
თავისუფლება	– <sup>155</sup>	არ გადაამოწმებია	–
კონსერვატიული პარტია	–	–	–
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	–	–	–
რესპუბლიკური პარტია	–	21.07%	21.07%
საქართველოს გზა	28.07%	3.37%	4.60%
ქართული დასი	–	–	0.27%
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	–	–	–
ჩვენ თვითონ	–	–	2.39%
ხალხის პარტია	–	–	4.10%

\* წყარო: ცესკოს ვებ-გვერდი

ცესკო გამოვლენილ დარღვევებს და მათზე რეაგირების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აცნობდა საზოგადოებას. ერთ-ერთი ყოველსმომცველი ანგარიში 2010 წლის 12 აპრილს იქნა წარდგენილი სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, პარტიების, პრესისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელთა თანდასწრებით. საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია 25 მაისს ცესკოში გაიმართა.<sup>156</sup>

<sup>153</sup> უმისამართო ამომრჩევლის არსებობა დარღვევად არ მიიჩნევა, რამდენადაც ის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისადაა დარეგისტრირებული ასეთად („მისამართის გარეშე“) და ცალკე გამოყოფილ უბნებზე აძლევს ხმას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე პარტიამ ეს მაინც ხარვეზად მიუთითა. მაგალითად, „ქართულმა დასმა“ ცესკოს ასეთი 49 441 ამომრჩევლის სია გადასცა. ამავე პარტიას ჰქონდა გამოყოფილი დამისამართების (არაზუსტი მისამართები [ძველი ნომრები არეული ახალში], არეული კორპუსები და სადარბაზოები, სოფლებში ზუსტი მისამართების [ქუჩების] არარსებობა) პრობლემა. 24 589 ასეთი მონაცემი შესაბამის ორგანოებს გადაეცა, რადგან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ცესკოს კომპეტენცია არ არის. დამისამართების პრობლემას ეხებოდნენ „ახალი მემარჯვენეები“ და საქართველოს რესპუბლიკური პარტია, „თავისუფლებას“ კი ანგარიშში მხოლოდ ქალაქ რუსთავის დამისამართების საკითხი ჰქონდა შეტანილი.

<sup>154</sup> თვალსაჩინოებისთვის იხილეთ დანართის ცხრილი №19 პარტიების მიერ თბილისში და თბილისის გარეთ აღმოჩენილი დარღვევები. დარღვევების ამსახველი დეტალური ცხრილი იხილეთ ვებგვერდზე: „2010 საარჩევნო სიების მონიტორინგი საერთო მონაცემები – დარღვევები“.

<sup>155</sup> „დეფისი“ ცხრილში ნიშნავს, რომ პარტიას ანგარიშში არ მიუთითებია გადამოწმებული ამომრჩევლებისა და გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა. შესაბამისად, პროცენტული მაჩვენებლის დაანგარიშება შეუძლებელია.

<sup>156</sup> ცესკოს რეაგირების შესახებ ინფორმაციისათვის (ცესკოს მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის მიხედვით) იხილეთ დანართის ცხრილი №20 ცესკოს მიერ წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშის მიხედვით გაცემებული რეაგირება.

ცესკოს ანალიზის მიხედვით, პარტიების მიერ აღმოჩენილი დარღვევების 17-18% გასწორდა, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დაახლოებით 37%<sup>157</sup> მცდარი აღმოჩნდა (რადგან არასწორ მონაცემებს ეყრდნობოდა), დანარჩენი მონაცემები კი (ძირითადად, დამისამართების პრობლემები და უმისამართო ამომრჩევლები) ცესკომ ხარვეზად არ მიიჩნია. დეტალებისათვის აქვე იხილეთ ცხრილი №26.

**ცხრილი №26. ცესკოს მიერ დადასტურებული და დაუდასტურებელი ხარვეზების პროცენტული მაჩვენებლები პარტიების მიერ მითითებული ხარვეზების რაოდენობასთან მიმართებით**

პოლიტიკური გაერთიანება	დადასტურებული ხარვეზები <sup>158</sup>	დაუდასტურებელი ხარვეზები <sup>159</sup>
ახალი მემარჯვენეები	გაერთიანებულია რესპუბლიკურ პარტიასთან	
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	29.61%	62.48% <sup>160</sup>
თავისუფლება	რეალური შედეგი უცნობია <sup>161</sup>	
კონსერვატიული პარტია	25.40%	31.58%
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	7.51%	12.36%
რესპუბლიკური პარტია	12.88%	30.29%
საქართველოს გზა	18.33%	29.99%
ქართული დასი	5.13%	3.02%
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	20.02%	66.52%
ჩვენ თვითონ	27.44%	24.90%
ხალხის პარტია	10.71%	33.38%

\* წყარო: ცესკოს ვებ-გვერდი

**დასკვნა**

2010 წელს წინასაარჩევნოდ განხორციელებულმა ინიციატივამ – სიების მონიტორინგში პოლიტიკური პარტიების ჩართვამ – ერთი მხრივ, ცესკოსა და პარტიებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყო ხელი, მეორე მხრივ კი, პარტიებს ამომრჩეველთა რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემების უფრო ახლოს გაცნობის შესაძლებლობა მისცა. ამ ნოვაციის შედეგად პარტიებმა თავად მიიღეს მონაწილეობა არჩევნების ადმინისტრირებაში.

თუმცა, აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად, სიების გადამოწმების პროცესს არაერთი სისუსტეც ჰქონდა; კერძოდ:

1. პარტიებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო სიების სრულყოფილად შემოწმებისთვის (ეს პროცესი სიებზე მუშაობის დასრულებამდე დაახლოებით ორი თვით ადრე დაიწყო);
2. პარტიებისთვის გამოყოფილი თანხა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ სიები სრულყოფილად შემოწმებულიყო;

<sup>157</sup> ეს მაჩვენებელი არ მოიცავს „თავისუფლების“ მიერ მიწოდებულ მონაცემს, რადგან ის მხოლოდ ქალაქ რუსთავში დამისამართებას შეეხებოდა. ცესკოს ინფორმაციით, რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა ისინი, თუმცა, რა მოცულობით, ჩვენთვის უცნობია.

<sup>158</sup> პარტიის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში მითითებული ხარვეზებიდან ცესკოს მიერ ხარვეზად მიჩნეული მონაცემები

<sup>159</sup> პარტიის მიერ წარდგენილ ინფორმაციაში მითითებული ხარვეზებიდან ცესკოს მიერ ხარვეზად არმიჩნეული მონაცემები (მაგალითად, პარტიის ინფორმაციით, ამომრჩეველი გარდაცვლილი იყო ან საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მაგრამ ეს ინფორმაცია ცესკოს მიერ გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა.)

<sup>160</sup> „დადასტურებული ხარვეზები“ და „დაუდასტურებელი ხარვეზები“ ჯამში 100%-ს არ შეადგენს. რიცხვი, რომელიც 100%-მდე შევსებას აკლია, ძირითადად ისეთ მონაცემებს ასახავს, რომლებიც არ ითვლება ამომრჩეველთა სიის ხარვეზად (დამისამართების პრობლემები და უმისამართო ამომრჩევლები).

<sup>161</sup> მხოლოდ დამისამართების პრობლემები ჰქონდათ გამოკვეთილი. მათზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

3. ფინანსური ანგარიშგების ვალდებულების და ამისთვის საჭირო ანგარიშების ფორმების არარსებობის გამო პარტიების მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის ეფექტიანობისა და მიზნობრიობის შეფასება რთული, ზოგიერთ შემთხვევაში კი – შეუძლებელი იყო;
4. პარტიები არ იყვნენ ბოლომდე მზად იმისთვის, რომ ადგილობრივ თუ უცხოელ ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე ყველაზე ეფექტიანი მეთოდოლოგია შეემუშავებინათ (ამის მიზეზი, სავარაუდოდ, შეზღუდული დროც იყო);
5. პარტიებს შორის კოორდინაცია სათანადო დონეზე არ იყო, რის გამოც მათ ვერ მოახერხეს ფუნქციებისა და გეოგრაფიული არეალების გაყოფა და შეთანხმებულად მუშაობა.

რაც ყველაზე მთავარია, იმისათვის, რომ სიები დაიხვეწოს მხოლოდ ამ ტიპის მონიტორინგის განხორციელება საკმარისი არ არის. პირველ რიგში, უნდა გაიზარდოს კოორდინაცია სიების შედგენისთვის პასუხისმგებელ სახელისუფლებო უწყებებს შორის – მათი ელექტრონული ბაზები ურთიერთთავსებადი გახდეს და რომელიმე ბაზაში ცვლილების შესვლის შემთხვევაში, ეს ცვლილება სხვა უწყებების ბაზებშიც აისახოს. აუცილებელია ისიც, რომ სიები მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს ამომრჩევლებისთვის, პოლიტიკური პარტიებისთვის, და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისა და პირებისთვის, რათა მათ ნებისმიერ დროს შეძლონ მათი შემოწმება და საჭირო შესწორებების შეტანის მოთხოვნით ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მიმართვა. ამისთვის უნდა არსებობდეს დეტალური პროცედურები და მიმართვის (განცხადების) დადგენილი ფორმები.

# ნაწილი 4

## რეკომენდაციები

(არსებული საკანონმდებლო ბაზის, საერთაშორისო და საკუთარი გამოცდილების ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით)

### შესავალი

საქართველოში პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას არეგულირებს ორი ნორმატიული აქტი, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონები „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“. ისინი შეიცავს პარტიის დაფინანსების როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო წყაროებს (საწევრო შენატანები, შემოწირულებები და სხვა) და საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ ნორმებს. პარტიების დაფინანსების სწორი სამართლებრივი რეგულირება უმნიშვნელოვანესია მათი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. საქართველოს კანონმდებლობაში არის დებულებები (საარჩევნო კამპანიის ფონდის საჯაროობა, ანონიმური შემოწირულებების აკრძალვა), რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას, თუმცა, ამ თვალსაზრისით, იგი უდავოდ საჭიროებს დახვეწას და რამდენიმე დებულების დამატებას. ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიერ საკუთარი გამოცდილების, საერთაშორისო რეკომენდაციების და საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილ პრობლემებს და მათი მოგვარებისათვის გამიზნულ რეკომენდაციებს.

### ზედამხედველობის მექანიზმები

#### სპეციალური დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო

საქართველოს კანონმდებლობაში პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერების ზედამხედველობის მექანიზმები არასრულია: არ არსებობს ორგანო, რომელსაც ევალება დაფინანსების კანონიერების სრულყოფილი კონტროლი; არ არის დადგენილი, თუ ვისი კომპეტენციაა პარტიის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული საფინანსო დეკლარაციის შემოწმება. ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია)<sup>162</sup> სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებთან დაკავშირებით მომზადებული მოსაზრებების საფუძველზე შედგენილ „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიშში“ აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ უზრუნველყოფს პარტიათა დაფინანსების ზედამხედველობის მექანიზმებს.<sup>163</sup>

<sup>162</sup> ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში.

<sup>163</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ანგარიში, სტრასბურგი, 2000 წლის 26 მაისი, I ნაწილის „ბ“ პუნქტი. [http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP\(2000\)001-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP(2000)001-e.pdf)

საქართველოს კანონმდებლობით, პარტიის ფინანსების ყოველწლიურ აუდიტს, ასევე მისი, როგორც საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო კამპანიის ფონდის აუდიტს ატარებს დამოუკიდებელი კერძო აუდიტორი, რომელსაც თავად პარტია ირჩევს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიაჩნია, რომ კერძო კომპანიების მიერ პოლიტიკურ პარტიათა ფინანსების აუდიტორული შემოწმება უნდა განხორციელდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის 10<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე ყოველი არჩევნებისთვის იქმნება ფინანსური მონიტორინგის ჯგუფი, თუმცა მისი ფუნქციები საკმაოდ ბუნდოვანია. მისი საქმიანობა მხოლოდ რამდენიმე თვეს გრძელდება. ჯგუფის წევრის ანაზღაურება 500 ლარს არ აღემატება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“<sup>164</sup> ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, მიაჩნია, რომ ჯგუფის მუშაობა არაეფექტურია. ამის ერთ-ერთ მიზეზად ვენეციის კომისია და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR) საარჩევნო კოდექსში ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის კომპეტენციის დამდგენი ნორმების არარსებობას ასახელებენ.<sup>165</sup> კოდექსით მართლაც არ არის განსაზღვრული ჯგუფის მანდატი და უფლებამოსილებები. იგი ზედაპირულ შემოწმებას ახორციელებს, ვინაიდან კოდექსი არ უზრუნველყოფს ჯგუფის ხელმისაწვდომობას პირველად დოკუმენტაციაზე (ხარჯების დამადასტურებელ ინვოისებსა და საბანკო გადარიცხვების დამადასტურებელ დოკუმენტებზე). პარტიებისგან ასეთი ინფორმაციის მიღება მხოლოდ მათ მიერ კეთილი ნების გამოჩენის შემთხვევაშია შესაძლებელი. ფინანსური მონიტორინგის ჯგუფს 2008 და 2010 წლების არჩევნების დროს პირველადი დოკუმენტაცია არ შეუმოწმებია, თუმცა წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზედაც კი არაერთი დარღვევა და უზუსტობა აღმოაჩინა პარტიების ანგარიშგებებში.<sup>166</sup> იმის გამო, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს აღმოჩენილ დარღვევებსა და უზუსტობებზე რეაგირების ფორმებს და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს, ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას რეაგირება არ მოჰყოლია.

**საქართველოს კანონმდებლობა საჭიროებს დახვეწას პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის, განსაკუთრებით – არჩევნების დროს, ზედამხედველობის მექანიზმების თვალსაზრისით. პრობლემის მოსაგვარებლად მიზანშეწონილია სპეციალური დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომლის ფუნქციაც იქნება პარტიების როგორც რეგულარული (ყოველწლიური), ისე საარჩევნო კამპანიის დაფინანსების კანონიერების საფუძვლიანი შემოწმება, მათთვის ფინანსური ანგარიშგების უფრო დახვეწილი წესების შემუშავება, პარტიების ფინანსური ანგარიშების შემოწმება და საზოგადოების შესაბამისი საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფა.**

ასეთი ორგანოს არსებობა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს; კერძოდ, ვენეციის კომისია თავის მიერ შემუშავებულ „პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპებში“ განმარტავს, რომ პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების მიზნობრიობა და კანონიერება განსაზღვრულმა სახელმწიფო ორგანომ უნდა გააკონტროლოს.<sup>167</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაციის მე-14 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების დამოუკიდებელი მონიტორინგი, რომელიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების ანგარიშებისა და საარჩევნო კამპანიის ხარჯების მონიტორინგს.<sup>168</sup>

ევროპის ბევრ ქვეყანაში პარტიების დაფინანსების მაკონტროლებელი ორგანო დამოუკიდებელია ან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებას ექვემდებარება. GREC<sup>169</sup>-ს „პოლიტიკის დაფინანსების ანგარიშის“ მიხედვით, ასეთი

<sup>164</sup> ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშები საკმაოდ ზედაპირულია. მათ საფუძველზე, როგორც წესი, ძნელია რეალური სურათის დადგენა. ამავე დროს, არ არსებობს ჯგუფის მიერ გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების პრეცედენტი.

<sup>165</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), ერთობლივი მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსზე, სტრასბურგი/ვარშავა, 2010 წლის 9 ივნისი, აბზაცი 55. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)013-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)013-e.pdf)

<sup>166</sup> ავტორის ინტერვიუ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოქმედ თავმჯდომარესთან, ზურაბ ხარატიშვილთან. 2008 წლის არჩევნების დროს ის ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის წევრი იყო.

<sup>167</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), პოლიტიკური პარტიების დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპები, სტრასბურგი, 2000 წლის 6 დეკემბერი, პუნქტი 13. [http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP\(2000\)006-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2000/CDL-PP(2000)006-e.pdf)

<sup>168</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაცია. <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2183&BackColorInternet=9999CC&BackColorIntranet=FFBB55&BackColorLogged=FFAC75>

<sup>169</sup> სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ; შექმნა ევროსაბჭომ 1999 წელს სახელმწიფოების მიერ ევროსაბჭოს ანტიკორუფციული სტანდარტების შესრულებასა და ქვეყნების შესაბამისობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად.

ორგანოების დამოუკიდებლობა საეჭვოა, როდესაც ისინი საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ორგანოებს ექვემდებარებიან.<sup>170</sup> საქართველოსთვის შეიძლება საინტერესო იყოს საფრანგეთის, ირლანდიისა და პოლონეთის მაგალითები, სადაც პარტიების დაფინანსების შემოწმება ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებელ ორგანოებს ევალებათ.<sup>171</sup> საფრანგეთის კამპანიის ანგარიშებისა და პოლიტიკის დაფინანსების მაკონტროლებელი ორგანო საარჩევნო პერიოდში, 33 მუდმივი თანამშრომლის გარდა, ქირაობს 170 დროებით თანამშრომელს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ გაზეთებს და ინფორმაციის სხვა საშუალებებს, რათა აღმოაჩინონ საარჩევნო კამპანიის ისეთი ხარჯები, რომლებიც აღრიცხული არ არის პოლიტიკურ პარტიათა ანგარიშებში.<sup>172</sup>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ფინანსური მონიტორინგის ორგანოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის შვიდი პირობის დაცვა მიაჩნია მნიშვნელოვანად:

1. ფინანსური მონიტორინგის ორგანო უნდა იყოს მუდმივმოქმედი.
2. ორგანოს წევრები უნდა აირჩიოს პარლამენტმა, ხოლო აპარატი თავად ამ ორგანომ უნდა დააკომპლექტოს.
3. ორგანოს წევრები უნდა დაინიშნონ გარანტირებული ვადით, მაგალითად, 5-7 წლით. ამ ორგანოს წევრს არ უნდა ჰქონდეს აღნიშნული თანამდებობის განმეორებით დაკავების უფლება. ეს შეამცირებს თანამდებობის შენარჩუნების მიზნით ორგანოს წევრის მიკერძოებულობის რისკს.
4. ორგანოს გარანტირებული უნდა ჰქონდეს ადეკვატური დაფინანსება და ტექნიკური რესურსები.<sup>173</sup>
5. დამოუკიდებლობასთან ერთად უმნიშვნელოვანესია, რომ ამ ორგანოს კანონით მიენიჭოს საკმარისი უფლებამოსილება, რათა რეალური კონტროლის შესაძლებლობა ჰქონდეს. მას უნდა შეეძლოს პარტიების სახელმწიფო აუდიტის ჩატარება. ამავე დროს, აღნიშნულმა ორგანომ უნდა გააკონტროლოს, რამდენად შეესაბამება პარტიების რეალური დანახარჯები მათ მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ მონაცემებს, ანუ ხომ არ ხდება ჩრდილოვანი ხარჯვა.
6. ორგანოს მუშაობისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი. მას კანონით უნდა დაეკისროს ვალდებულება, დროულად გამოაქვეყნოს პარტიების ფინანსური ანგარიშები და საზოგადოებისთვის საინტერესო სხვა ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ.<sup>174</sup>
7. გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია თვით ამ ორგანოს კონტროლიც. იგი ანგარიშვალდებული უნდა იყოს პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს მას თავისი საქმიანობის წერილობითი ანგარიში.<sup>175</sup>

ეს ფუნქცია შესაძლოა საქართველოს კონტროლის პალატამ ან ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეასრულოს, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია, რომ (ა) გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები შერჩეული ორგანოს მიმართ საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად და (ბ) ეს ორგანო აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ შვიდ პირობას.

### ანგარიშების სისტემა

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა დაიხვეწოს ანგარიშების რამდენიმე ტექნიკური დეტალი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2003 წლის 4 ოქტომბრის №58/2003 განკარგულებით დამტკიცებულია საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშის ფორმა. სწორედ ამ ფორმის მიხედვით წარედგინება საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში საარჩევნო კომისიას ყოველი არჩევნების დასრულების შემდეგ. რაც შეეხება პოლიტიკური პარტიის წლიური ფინანსური ანგარიშის ფორმას, იგი ნორმატიული აქტით საერთოდ არ არის დამტკიცებული. „საერთაშო-

<sup>170</sup> GRECO, პოლიტიკის დაფინანსების ანგარიში, შეფასების შესამე რაუნდი, 2010 წლის 19 მაისი, აბზაცი 73. [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/2010/Greco\(2010\)8\\_RapportYVDoublat\\_EN.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/2010/Greco(2010)8_RapportYVDoublat_EN.pdf)

<sup>171</sup> იქვე, აბზაცი 72.

<sup>172</sup> იქვე.

<sup>173</sup> TI Policy Position No. 2/2005, Political Finance Regulations: Bridging The Enforcement Gap, ნაწილი 6. [http://www.transparency.org/content/download/1920/11242/file/02policy\\_brief\\_political\\_finance\\_regulations.pdf](http://www.transparency.org/content/download/1920/11242/file/02policy_brief_political_finance_regulations.pdf)

<sup>174</sup> იქვე, ნაწილი 10.

<sup>175</sup> იქვე, ნაწილი 9.

რისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ მიღებული პოლიტიკური პარტიების წლიური და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ მათ მიერ წარდგენილი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშები უფრო დეტალური და გასაგებია, ვიდრე წლიური ანგარიშები. პოლიტიკური პარტიების წლიური ანგარიშები არაერთგვაროვანია, ხარჯების კლასიფიკაცია კი სხვადასხვაგვარი, რაც ანგარიშების წაკითხვას და გაწეული ხარჯებისა და მიღებული შემოსავლების შესახებ რეალური სურათის შექმნას ართულებს.

თუმცა პრობლემები საარჩევნო კამპანიის ანგარიშგების ფორმაშიც არის. ეს ფორმა ძალიან ზოგადია. მაგალითად, მასში გვხვდება ისეთი ზოგადი კატეგორია, როგორცაა „სხვა ხარჯები“, რომელიც ბევრ შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტის მთელი ხარჯის 50%-ს აღემატება, და გაუგებარი რჩება, რა იყო ამ ხარჯების დანიშნულება. საკმაოდ ხშირია არასწორად შევსებული ანგარიშებიც. შესაძლო ხარჯების ჩამონათვალი მაქსიმალურად ფართო უნდა იყოს, ხოლო „სხვა ხარჯების“ გრაფაში საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ, თუ ხარჯის დასახელება სხვა გრაფებში არ არის აღნიშნული, ის „სხვა ხარჯის“ მითითებისას უნდა აღინიშნოს.

მიზანშეწონილია პოლიტიკური პარტიის ფინანსური ანგარიშგების ერთიანი ფორმის შექმნა, რომელშიც მაქსიმალურად დეტალურად იქნება კლასიფიცირებული პარტიის შემოსავლები და ხარჯები. სასურველია, რომ ამ ფორმის შევსება შესაძლებელი იყოს ელექტრონული სახით და რომ აღნიშნული ანგარიშები მუდმივად ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მაკონტროლებელი ორგანოს ვებგვერდის მეშვეობით, როგორც ეს ხდება თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შემთხვევაში (იხ. [www.declaration.ge](http://www.declaration.ge)). თუმცა მნიშვნელოვანია, რომ პარტიების ფინანსური ანგარიშები ისეთ მონაცემთა ბაზაში განთავსდეს, რომელიც საჭირო ინფორმაციის მოძიებას, დახარისხებასა და ანალიზს გაამარტივებს.<sup>176</sup>

ანგარიშგების ერთიანი ელექტრონული ფორმის შექმნა მიზანშეწონილად მიიჩნია GRECO-საც, რომელიც „პოლიტიკის დაფინანსების ანგარიშში“ დადებითად აფასებს ევროპის ქვეყნების, კერძოდ, ლუქსემბურგის, ირლანდიის, ნორვეგიის, ნიდერლანდის, გაერთიანებული სამეფოს და სლოვაკეთის პარტიების მიერ ერთგვაროვანი ელექტრონული ფორმების გამოყენებით ანგარიშგებას.<sup>177</sup> ეს სხვადასხვა პარტიის მიერ სხვადასხვა დროს წარდგენილი ანგარიშების შედარების საშუალებას იძლევა.

გამჭვირვალობის ხარისხის ასამაღლებლად სასურველია, რომ პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშები და საარჩევნო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგება, აგრეთვე მათი ფინანსური დოკუმენტაცია იყოს ღია, საჯარო ინფორმაცია და არა კანონით განსაზღვრული რომელიმე სახის საიდუმლო ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში იგი ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული პირისთვის კანონით დადგენილი წესით გამოთხოვნის შემთხვევაში.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ ორგანოს კანონით დაეკისროს მისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის გარკვეული პერიოდის (მაგალითად, 5-6 წლის) განმავლობაში შენახვის ვალდებულება, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს პარტიების ძველი ანგარიშების გადამოწმება.

## საარჩევნო კამპანიის ფონდის გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება

საქართველოში საარჩევნო კამპანიის დაფინანსება საქართველოს ორგანული კანონის ‘საქართველოს საარჩევნო კოდექსის’ 46-ე–48-ე მუხლებით რეგულირდება; კერძოდ, საარჩევნო სუბიექტებისათვის სავალდებულოა საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა, რომელშიც უნდა აისახოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული ყველა შემოწირულება და ხარჯი. საარჩევნო სუბიექტები არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარადგენენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშებს. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება

<sup>176</sup> „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანალიტიკოსის, დერეკ დოლერის, ბლოგპოსტი. <http://transparency.ge/blog/psamtavrobomonatsemebi-tvalsachino-ar-aris-qoveltvis-gamosadegarip>

<sup>177</sup> GRECO, პოლიტიკის დაფინანსების ანგარიშში, შეფასების მესამე რაუნდი, 2010 წლის 19 მაისი, აბზაცი 35. [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/2010/Greco\(2010\)8\\_RapportYVDoulet\\_EN.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/greco/documents/2010/Greco(2010)8_RapportYVDoulet_EN.pdf)

ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან თვეში ერთხელ შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს ინფორმაცია მიღებული შემოწირულობების შესახებ. აღნიშნული მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საარჩევნო კამპანიის ხარჯების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, თუმცა ისინი მაინც შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა გამოსწორებაც მნიშვნელოვნად აამაღლებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

### პარტიის მიერ გადარიცხული თანხების გამჭვირვალობა

დემოკრატიის მაღალი სტანდარტები მოითხოვს, რომ საარჩევნო კამპანიის ხარჯებისა და შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია უმოკლეს დროში გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. სწორედ ამას ემსახურება საარჩევნო სუბიექტის ვალდებულება, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში (წინასწარი შედეგებით გამარჯვებულისა კი – კენჭისყრის დღიდან 8 დღის ვადაში) გახადოს საჯარო შემოწირულობებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია. ამის პარალელურად, პოლიტიკური პარტია მხოლოდ წელიწადში ერთხელ (ყოველი წლის 1 თებერვლამდე) არის ვალდებული, საჯარო გახადოს თავისი ფინანსური ანგარიში. ამ ნორმის თანახმად, პოლიტიკურ პარტიას შეუზღუდავად შეუძლია საარჩევნო კამპანიის ფონდში შეიტანოს შემოწირულობები, რის შედეგადაც საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშთან ერთად საჯარო არ ხდება საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული დიდი ოდენობის თანხების წარმომავლობა, ვინაიდან შემომწირველის სახით გვევლინება პოლიტიკური პარტია და არა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელმაც რეალურად გაიღო ეს თანხები. ამან პრობლემები შექმნა 2008 და 2010 წლების არჩევნების დროს,<sup>178</sup> რადგან საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხული თანხების წარმომავლობის დასადგენად მომდევნო წლის თებერვლამდე მოცდაა საჭირო, ასეთი დიდი ინტერვალი კი ამ ინფორმაციას ნაკლებად აქტუალურს ხდის.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 47-ე მუხლის 3<sup>3</sup> პუნქტის დახვეწა. პოლიტიკურ პარტიას თავისივე საარჩევნო კამპანიის ფონდში თანხის გადარიცხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეეძლოს, თუ ფონდის ზოგად ანგარიშთან ერთად გადარიცხული თანხების წარმომავლობასაც გახდის საჯაროს. ანუ, ის პოლიტიკური პარტია, რომელიც თანხებს თავის საარჩევნო კამპანიის ფონდში ჩარიცხავს, ფონდის ანგარიშებთან (როგორც არჩევნების წინა, ისე შემდგომ ანგარიშებთან) ერთად გამოაქვეყნებს იმავე საარჩევნო წლისთვის საკუთარ ანგარიშზე მიღებული შემოსავლების ანგარიშს.

### ანგარიშების გამოქვეყნების პერიოდულობა

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა მიზნად ისახავს პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კანონიერების კონტროლს, თუმცა ეს არ არის მისი ერთადერთი ფუნქცია. ეს ინფორმაცია ეხმარება ამომრჩევლებს, მეტი იცოდნენ პარტიის საქმიანობაზე, რაც მათ ინფორმირებული არჩევნის გაკეთებაში დაეხმარება.

**აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია, რომ საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში (მიმდინარე ინფორმაცია) გამოქვეყნდეს არა მხოლოდ არჩევნების შემდეგ, არამედ კენჭისყრამდე რამდენიმე (მაგალითად, 5–10) დღით ადრეც.<sup>179</sup> რათა მოქალაქეებს არჩევნის გაკეთებამდე ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტის საქმიანობის შესახებ.**

<sup>178</sup> 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო კამპანიის ფონდმა შეადგინა დაახლოებით 23 მილიონი ლარი, რომლის დაახლოებით 45% ფონდს თავად „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ შესწირა. იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებზე საარჩევნო კამპანიის ფონდში მმართველმა პარტიამ გადარიცხა 11,9 მლნ ლარის დაახლოებით 80%, მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ კი – 0,104 მლნ ლარის 45%. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო კამპანიის ფონდში „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩარიცხა 14,1 მლნ ლარის 96%, ხოლო „ეროვნულმა საბჭომ“ – 0,176 მლნ ლარის 54%. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ოფიციალურად გამოითხოვა პარტიების ანგარიშებზე შეტანილი შემოწირულობების შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა ყველა პარტიამ, გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“.

<sup>179</sup> იმის გათვალისწინებით, რომ საოლქო საარჩევნო შტაბების მიერ გაწეული ხარჯების საარჩევნო კამპანიის ფონდში ასახვა გარკვეულ დროს მოითხოვს, ნორმა შეიძლება ჩამოყალიბდეს ისე, რომ საარჩევნო სუბიექტს დაევალოს, არჩევნებამდე 5 დღით ადრე გამოაქვეყნოს საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში არჩევნებამდე მე-10 დღის მდგომარეობით.

ამასთანავე, ვენეციის კომისიისა და ეუთოს ერთობლივი მოსაზრების თანახმად, საარჩევნო კომისიისთვის შემოწირულებების შესახებ ინფორმაციის საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნიდან მხოლოდ თვეში ერთხელ მიწოდება არაადეკვატურია.<sup>180</sup> იმის გათვალისწინებით, რომ წინასაარჩევნო პერიოდი მხოლოდ ორ თვეს გრძელდება და ფონდის ანგარიში საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში იხსნება, აღნიშნული ინფორმაციის საარჩევნო კომისიისთვის მიწოდება ფონდის მმართველს წინასაარჩევნო პერიოდში მხოლოდ ერთხელ უწევს.

**მიზანშეწონილია, რომ საარჩევნო კამპანიის ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია პარტიების დაფინანსების მაკონტროლებელ ორგანოს წინასაარჩევნო პერიოდში ინტენსიურად (მაგალითად, კვირაში ერთხელ) მიეწოდებოდეს და რომ კანონით იყოს განსაზღვრული მისი ღიაობა. გრძელვადიან პერსპექტივაში, სასურველია შეიქმნას ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც მოხდება პარტიების მიერ მიღებული შემოწირულებებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში განახლება შესაბამის ვებგვერდზე.**

### ინფორმაციის უნიფიკაცია

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს, ისევე, როგორც ყოველთვიურ ინფორმაციას მიღებული შემოწირულებების შესახებ, შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტი ამ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებული სუბიექტი – ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარუდგენს.<sup>181</sup> ამიტომ საარჩევნო დაფინანსების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა ორგანოში იყრის თავს, რაც მის ხელმისაწვდომობას ართულებს.

**მიზანშეწონილია კანონში არსებობდეს ნორმა, რომლითაც მოხერხდებოდა აღნიშნული ინფორმაციის პარტიების დაფინანსების მაკონტროლებელ ორგანოში თავმოყრა.**

ასეთი ინფორმაციის ერთ ორგანოში თავმოყრა მიზანშეწონილად მიაჩნიათ ასევე ვენეციის კომისიისა და ეუთოს. მათ ერთობლივ მოსაზრებაში მითითებულია, რომ ანგარიშების შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარუდგენის ვალდებულება უმჯობესია შეიცვალოს მათი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარუდგენის ვალდებულებით.<sup>182</sup> ამის მიღწევა შეიძლება საოლქო საარჩევნო კომისიების დავალდებულებით, რომ ანგარიშები და სხვა სათანადო ინფორმაცია დადგენილ დროში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადააგზავნონ. ელექტრონული ანგარიშგება, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, ინფორმაციის უნიფიკაციის პრობლემას თავისთავად გადაჭრიდა.

### შემოწირულებები

#### კანონმდებლობაში წინააღმდეგობების აღმოფხვრა

კერძო პირებისგან მიღებული საარჩევნო შემოწირულებები პოლიტიკური პარტიის დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამიტომ აუცილებელია მათი სწორი სამართლებრივი რეგულირება. პარტიის მიერ შემოწირულებების მიღების საკითხებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი აწესრიგებს, ხოლო საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულებების მიღების საკითხებს –

<sup>180</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), ერთობლივი მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსზე, სტრასბურგი/ვარშავა, 2010 წლის 9 ივნისი, აბზაცი 52. [http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD\(2010\)013-e.pdf](http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL-AD(2010)013-e.pdf)

<sup>181</sup> მაგალითად, კონკრეტულ საარჩევნო ოლქში პარლამენტარობის მაჟორიტარი კანდიდატი თავისი საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშს წარუდგენს იმავე ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიას და არა ცესკოს.

<sup>182</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), ერთობლივი მოსაზრება საქართველოს საარჩევნო კოდექსზე, სტრასბურგი, 2009 წლის 9 იანვარი, აბზაცი 81. [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD\(2009\)001-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD(2009)001-e.asp)

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“. პოლიტიკურ პარტიას შეუძლია განუსაზღვრელი ოდენობის თანხები ჩარიცხოს თავის საარჩევნო კამპანიის ფონდში. შესაბამისად, საარჩევნო კამპანიის ფონდისა და არასაარჩევნო პერიოდში მიღებული შემოწირულობების მიზნობრიობის გამიჯვნა პირობითია.

ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობაში გარკვეული ხარვეზები და შეუსაბამობებია. მაგალითად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი (26-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ნებას რთავს პოლიტიკურ პარტიებს, შემოწირულობები საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიიღონ, საარჩევნო კოდექსი კი ასეთ ნორმას არ ითვალისწინებს. იმავედროულად, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი (26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) კრძალავს შემოწირულობების მხოლოდ იმ საწარმოსაგან მიღებას, რომელშიც სახელმწიფო წილი 10%-ს აღემატება, ხოლო საარჩევნო კოდექსი (47-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი) კრძალავს საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულობების მიღებას იმ საწარმოსაგან, რომელშიც არის სახელმწიფო წილი ნებისმიერი ოდენობით.

**პოლიტიკური პარტიის მიერ საკუთარ ანგარიშზე და საარჩევნო კამპანიის ფონდში შემოწირულობების მიღებისათვის ერთი და იგივე შეზღუდვები უნდა არსებობდეს. საარჩევნო კოდექსი და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონი ისე უნდა შეიცვალოს, რომ პოლიტიკური პარტიის მიერ შემოწირულობების მისაღებად შეზღუდვების თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს შეესაბამებოდეს.**<sup>183</sup>

### შემოწირულობები ბიზნესიდან

კომერციული საწარმოს მიერ შემოწირულობების გაღების რეგულირება სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ევროპის ზოგიერთი ქვეყანა მთლიანად კრძალავს ასეთ შემოწირულობებს, ზოგი კი შეზღუდვებს მხოლოდ გარკვეული ტიპის საწარმოებისთვის აწესებს. ეს შეზღუდვები, როგორც წესი, პოლიტიკური კორუფციის პრევენციას და აქციონერთა უფლებების დაცვას ემსახურება. კომერციული საწარმოს უმთავრესი მიზანი ფინანსური მოგების მიღებაა. შესაბამისად, ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ბიზნესის მხრიდან პოლიტიკური შემოწირულობების გაღება პოლიტიკოსებთან დაახლოებას და ამით გარკვეული არაკანონიერი უპირატესობების მოპოვებას ისახავდეს მიზნად. ბიზნესის მიერ პოლიტიკის დაფინანსება ყოველთვის შეიცავს კორუფციის რისკს. ამიტომ აუცილებელია შემოწირულობების გაღების სწორი სამართლებრივი რეგულირება. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, არის ერთი იურიდიული პირისგან მიღებული შემოწირულობის ზედა ზღვრის დადგენა. ეს, რა თქმა უნდა, მისასაღებელია, თუმცა – არასაკმარისი. აღსანიშნავია ისიც, რომ კონკრეტული პირისგან მიღებული შემოწირულობის ზედა ზღვრის დამდგენი ნორმა ხარვეზებს შეიცავს; კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად, „პარტიის მიერ მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მოცულობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს: ა) თითოეული ფიზიკური პირისაგან – 30 000 ლარს; ბ) თითოეული იურიდიული პირისაგან – 100 000 ლარს“; ეს „შეზღუდვები ვრცელდება ყველა სახის შემოწირულობაზე, მათ შორის, პარტიის მიზნებისათვის და მისი სახელით გაწეულ მომსახურებაზე“. ამის მიუხედავად, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც საწარმოს მიერ ერთი წლის განმავლობაში საარჩევნო კამპანიის ფონდში და თავად პარტიისთვის გადარიცხული შემოწირულობების ოდენობა 100 000 ლარს აღემატება.<sup>184</sup>

**აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანონით ნათლად განისაზღვროს, რომ ერთი პირის მიერ წლის განმავლობაში გაღებული შემოწირულობების მაქსიმუმი ვრცელდება მის მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდისა და თვით პარტიისთვის შეწირული თანხების ჯამზე.**

არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი და იმავე წილის მფლობელის საკუთრებაში არსებული იურიდიული პირები ცალ-ცალკე ახორციელებენ შემოწირულობებს. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნე-

<sup>183</sup> ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია), მოსაზრება საქართველოს ორგანულ კანონზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, სტრასბურგი, 2009 წლის 16 ივნისი, აბზაცი 11. [http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD\(2009\)033-e.asp](http://www.venice.coe.int/docs/2009/CDL-AD(2009)033-e.asp)

<sup>184</sup> იხილეთ სქოლიო 49.

ბისთვის ხუთმა კომპანიამ – „თეგეტა თრაქ ენდ ბასმა“, „თეგეტა კონსტრაქშენ ექვიფმენტმა“, „თეგეტა ლოჯისტიკმა“, „თეგეტა მოტორსმა“ და „თეგეტა მოტორს ქუთაისმა“ – ერთიან ნაციონალურ მოძრაობას<sup>185</sup> ჯამში 500 000 ლარი შესწირა. მათგან სამის წილის მფლობელი თემურ კობოძეა, ხოლო ორისა – „თეგეტა მოტორსი“, რომლის მეწილეებში ასევე თემურ კობოძე ფიგურირებს.<sup>185</sup>

**შესაბამისად, საჭიროა კანონის ისეთი სახით ფორმულირება, რომ ერთმა და იმავე პირმა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა იურიდიული პირის საშუალებით ვერ შეძლოს ერთი პარტიისთვის 100 000 ლარზე მეტის გადარიცხვა.**

გარდა ამისა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა შეზღუდოს ან აკრძალოს შემოწირულებები არა მხოლოდ იმ საწარმოებიდან, სადაც მას წილი აქვს, არამედ იმ საწარმოებიდანაც, რომლებიც რომელიმე საჯარო დაწესებულებას საქონელს აწვდიან ან მომსახურებას უწევენ.<sup>186</sup>

**კორუფციის რისკის შესამცირებლად სასურველია, არჩევნების წინა წელს და არჩევნების წელს სახელმწიფო შესყიდვებში გამარჯვებულ საწარმოებს აკრძალოს შემოწირულებების გაღება, ხოლო პოლიტიკური პარტიის დამფინანსებელ საწარმოებს – არჩევნების წელს და არჩევნების მომდევნო წელს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა.**

ეს განპირობებულია იმით, რომ ასეთ საწარმოებსა და სახელმწიფოს პირდაპირი ფინანსური კავშირი აქვთ, რაც პოლიტიკურ პარტიასა და ბიზნესს შორის უკანონო გარიგების – „ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ შემოწირულებების“ და „შემოწირულების სანაცვლოდ ტენდერში გამარჯვების“ – რისკს წარმოშობს.

## ხარჯები

### ხარჯების მაქსიმუმის დაწესება

საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკური პარტიების მიერ გაწეული ხარჯების კონტროლს არ ითვალისწინებს – არ იზღუდება არც მათი რაოდენობა და არც მიზნობრიობა (ამომრჩეველთა მოსყიდვის აკრძალვის გარდა), თუმცა, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაციის მე-9 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ საარჩევნო კამპანიის ხარჯების ზედა ზღვრის დაწესების გზით უნდა მოახდინოს პოლიტიკური პარტიების გადაჭარბებული დაფინანსების მოთხოვნილებების პრევენცია.<sup>187</sup> საარჩევნო კამპანიის ხარჯების მაქსიმუმის დაწესების საჭიროებაზე მიუთითებს ვენეციის კომისიის მიერ შემუშავებული „პოლიტიკური პარტიების სფეროში საუკეთესო გამოცდილების კოდექსი“.<sup>188</sup> იგი განმარტავს, რომ მაქსიმალური ლიმიტის განსაზღვრა შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით. მაგალითად, უნგრეთსა და ირლანდიაში ზედა ზღვარი დაწესებულია კანდიდატებისა და არჩევნების მიხედვით, იტალიაში კი ანალოგიურ ზედა ზღვარს ემატება შეზღუდვები იმ კანდიდატებისთვის, რომელთაც ჰყავთ წარმომადგენლები შესაბამის ორგანოში. ზოგიერთ ქვეყანაში მაქსიმუმად კონკრეტული ოდენობის თანხა განსაზღვრული (მაგალითად, პორტუგალიაში – 3 მლნ ევრო ნებისმიერი საარჩევნო ციკლისთვის), ქვეყნების ნაწილი კი ზედა ზღვარს რაიმე ცვლადს უკავშირებს (მაგალითად, საფრანგეთი და ლატვია – მოსახლეობის ან ამომრჩეველთა რაოდენობას, ლიტვა – მინიმალურ ხელფასს).<sup>189</sup>

<sup>185</sup> იხ. ნაწილი 2. საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ქვეთავი „2010 წელს პოლიტიკური გაერთიანებების ანგარიშებზე განხორციელებული შემოწირულებები“.

<sup>186</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაცია. <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2183&BackColorInternet=9999CC&BackColorIntranet=FFBB55&BackColorLogged=FFAC75>

<sup>187</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის 8 აპრილის (2003)4 რეკომენდაცია. <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=2183&BackColorInternet=9999CC&BackColorIntranet=FFBB55&BackColorLogged=FFAC75>

<sup>188</sup> „პოლიტიკური პარტიების სფეროში საუკეთესო გამოცდილების კოდექსი“. [http://www.venice.coe.int/docs/2006/CDL-EL\(2006\)035rev-e.asp?PrintVersion=True](http://www.venice.coe.int/docs/2006/CDL-EL(2006)035rev-e.asp?PrintVersion=True)

<sup>189</sup> დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართის ცხრილი №21 „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი“ (IFES), „პოლიტიკური პარტიების დაფინანსება – გლობალური გამოცდილება“, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კამპანიის ხარჯების მაქსიმუმის შესახებ.

საქართველოში საარჩევნო კამპანიისათვის უსაზღვროდ დიდი თანხები იხარჯება. არჩევნების ორგანიზებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პარალელურად, საარჩევნო კამპანიისათვის დახარჯული რესურსები მნიშვნელოვნად იზრდება პარტიების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული თანხებით. ამ მხრივ, როგორც წესი, მმართველი პარტია გამოირჩევა.

ამის ადასტურებს 2008 და 2010 წლების არჩევნების დროს მმართველი პარტიის დაფინანსების შედარება ოპოზიციური პარტიების დაფინანსებასთან: 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიის ფონდიდან დაახლოებით 31-ჯერ მეტი დაიხარჯა, ვიდრე ყველაზე მეტი შემოსავლის მქონე ოპოზიციური კანდიდატის (ლევან გაჩეჩილაძის) ფონდიდან (უფასო პოლიტიკური რეკლამების გამოკლებით). იმავე წლის საპარლამენტო არჩევნებზე მმართველი პარტიის ფონდი 17,5-ჯერ მეტი იყო ყველაზე მეტი დაფინანსების მქონე ოპოზიციური პარტიის („საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“) ფონდზე, ხოლო 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფონდი 14,7-ჯერ აღემატებოდა ყველაზე მეტი დაფინანსების მქონე პოლიტიკური გაერთიანების („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“) ფონდს.

**მიზანშეწონილია შეიზღუდოს საარჩევნო კამპანიისათვის ფულის ხარჯვა ხარჯების ზედა ზღვრის დაწესების გზით. უნდა დაიწყოს დისკუსია სახელისუფლებო, არასახელისუფლებო თუ სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, რათა განისაზღვროს საარჩევნო კამპანიის ხარჯების ზღვრული ოდენობის დადგენის ისეთი კრიტერიუმი, რომელიც უზრუნველყოფს უფრო სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას საქართველოში.**




დანართი  
Annex



## პარტიების ყოველწლიური დაფინანსება Annual Party Finance


დიაგრამა №1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიათა პირდაპირი დაფინანსების განაწილება, 2009 წელი  
Figure No.1: Percentage Indicators for Direct Party Financing from State Budget.



- |  |  |  |  |  |   |  |
|--|--|--|--|--|---|--|
| <span style="color: blue;">■</span> ახალი მემარჯვენეები<br>New Rights                      | <span style="color: red;">■</span> თავისუფლება<br>Freedom  | <span style="color: green;">■</span> საქართველოს ლეიბორისტული პარტია<br>Georgian Labour Party    | <span style="color: purple;">■</span> ერთიანი ნაციონალური მოძრაობა<br>United National Movement | <span style="color: teal;">■</span> საქართველოს კონსერვატიული პარტია<br>Georgian Conservative Party    | <span style="color: orange;">■</span> ქართული დასი<br>Kartuli Dasi      | <span style="color: lightblue;">■</span> ჩვენ თვითონ<br>We Ourselves |
